შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სახელმწიფო და საკანონმდებლო ნარკოპოლიტიკა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **არჩილ სივსივა**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია----------

Annotation----------

-

შესავალი----------

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------

თავი II. სახელმწიფო და საკანონმდებლო ნარკოპოლიტიკა

2.1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით----------

2.2. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით----------

თავი III. ნარკოპოლიტიკის სამართლებრივი შედარებითი ანალიზი

3.1. უარყოფითი მხარეები----------

3.2. დადებითი მხარეები----------

თავი V. კვლევის შედეგები ----------

დასკვნა ----------

გამოყენებული ლიტერატურა ----------

--

ანოტაცია

იმ დროიდან როდესაც ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება გამოვლინდა, კაცობრიობა ცდილობს ებრძოლოს და გაუმკლავდეს ნარკოტიკული სახის დანაშაულობას. წარსულში არსებული მდგომარეობიდან მოყოლებული დღემდე თუ ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ დროის ამ მონაკვეთში მრავალგზის და სხვადასხვა მექანიზმებით ცდილობდნენ მოცემული დანაშაულობის აღმოფხვრასა და მისი პრევენციის მოხდენას არსებული თანმდევი პერიოდის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ამ სახის დანაშაულობა მკაცრი პოლიტიკით რეგულირდება, ზოგი კი შედარებით ლოიალურია, მაგრამ მიზანი ერთია, რომ აღმოფხვრილ იქნას ეს ყოველივე რაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

ნაშრომში განხილულია საკანონმდებლო და სახელმწიფო ნარკოპოლიტიკა. მოცემულ კონტექსტში, გადმოცემულია თუ როგორ ვითარდება და პროგრესირდება ნარკოპოლიტიკა როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, როგორც სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი გამოყენებული მაქვს არა რომელიმე მუხლის განსახილველად, არამედ გადმოცემული მაქვს ის კონკრეტული ნორმები, რითიც რეგულირდება მოცემული სახის დანაშაულობა, რათა მეტად თვალსაჩინო იყოს სახელმწიფოში არსებული ნარკოპოლიტიკური მდგომარეობა. ამასთან ერთად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ასახავს ლიბერალიზაციის პროგრესს, რამაც ვთვლი, რომ თავის მხრივ გამოიწვია ნორმებს შორის კოლიზია.

მოგეხსენებათ ნარკოტიკული სახის დანაშაულობა, არა მხოლოდ საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოში დიდ პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ ნაშრომში ვხვდებით საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას, რამაც საშუალება მომცა გამეკეთებინა შედარებითი ანალიზი და მოცემული პრაქტიკის გათვალისწინებით ის იძლევა სავარაუდო შესაძლებლობას ნარკოვითარების აღმოსაფხვრელად.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, ძირითად თემას, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად (როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საზღვარგარეთის კანონმდებლობის მიხედვით), შედარებით ანალიზს, სადაც გამიჯნულია ნარკოპოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები, კვლევის შედეგებს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

Annotation

Since the time when drug use was detected, humanity has been trying to fight and deal with drug associated crimes. If we dig deeper from the past to the present, we will se that in this period of time they tried various mechanisms to eliminate a given crime and to prevent it in accordance with the existing period. It is noteworthy that in some countries this type of crime is regulated by strict policies, while others are relatively loyal, but the goal is one, to eliminate it all, which requires quite a lot of effort.

The paper discusses legislative and state drug policy. In this context, it describes how drug policy is developing and progressing in Georgia and in forein countries. According to the Georgian legislation, I have used both the Criminal Code and Administrative Offences Code of Georgia, not to discuss any article, but to set out the specific norms that regulate this type of crime in order to make the drug policy situation in the country more visible. At the same time, the decisions of the Constitutional Court of Georgia, that portray the progress of liberalization, which, in my opinion, led to a collision between the norms.

As well-known, drug crime is a significant issue not only in Georgia but all over the world, so in the paper we find the practice of foreign countries, which allowed me to make a comparative analysis and given practice provides a probable opportunity to eliminate drug addiction.

The paper includes an introduction, the main topic, which is divided into subsections (according to both Georgian and foreign legislation), comparative analysis, which seperates the pros and cons of drug policy, research results, conclusion and list of used literature.

შესავალი

ნარკომანია და მასთან დაკავშირებული დანაშაულები, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა როგორც საქართველოში ასევე მთელ მსოფლიოში. ამ კატეგორიის დანაშაულობა ასახავს არა მხოლოდ საზოგადოებისათვის ჯანმრთელობის საფრთხეს, ამასთან ერთად მთელი რიგი ქვეყნებისთვის წარმოადგენს ეროვნული უშიშროებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ნარკობიზნესი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მომგებიანი დანაშაულებრივი საქმიანობაა, შესაბამისად, აღნიშნულ დანაშაულში ჩართული პირები საკმაოდ კარგად არიან ორგანიზებულნი, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა განიხილება, როგორც ტერორიზმის დაფინანსების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო.[1]

ადამიანისა და ნარკოტიკების ურთერთდამოკიდებულება შორეული წარსულიდან ვლინდება, სხვადასხვა კულტურის და ტრადიციების მქონე პირები ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნით მოიხმარდნენ ნარკოტიკებს, რაც შეიძლება გამოხატული იქნენეს სამედიცინო კუთხით, რელიგიური და მითიური რიტუალების ჩასატარებლად, რამაც დროთა განმავლობაში ხასიათი შეიცვალა. გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე სახის ნარკოტიკული საშულების წარმომავლობა როგორიც არის:

მცენარე კანაფი პლანეტაზე ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი ნარკოტიკია. ამჟამად იგი კულტივირებულია მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაში. რისთვისაც მცენარეს ადამიანების მდევარი შეარქვეს.[2] ფსიქოტროპული თვისებების მქონე მცენარე ოპიუმი, რომელსაც იყენებდნენ ტკივილის გასაყუჩებლად, ბევრმა ამ ნივთიერების ქებადიდება და მისი ნარკოტიკად გამოყენება დაიწყო 1853 წელს როდესაც ჰიპოთერმული ნემსის გამოგონებამ მედიცინაში გადატრიალება მოახდინა, ვინაიდან ამ გამოგონებამ შესაძლებელი გახადა ნარკოტიკების პირდაპირ სისხლძარღვებში მოხვედრა რაც თავისთავად იწვევს ნარკოტიკის უფრო სწრაფ ზემოქმედებას.[3] ყოველივე ამასთან ერთად ცნობილია, რომ მაიას და აცტეკის ტომების წევრები ენის ქვეშ იდებდნენ კოკის ფოთლებს, ლაშქრობებისას ძალების შესანარჩუნებლად, ასევე ჩინელები გარკვეული პერიოდის განმავლობაშ ეწეოდნენ ოპიუმს, სტრესის მოსახსნელად და იყენებდნენ საძილე საშუალებად. რაც შეეხება ძველ ეგვიფტეს, საბერძნეთსა და რომს აქ ცნობილი იყო

---

[1] შ.საღირაშვილი ,,საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი'' <http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_1894.pdf> [20.04.2021].

[2] ჯ.ჯანაშია, ..XXI საუკუნის გამოწვევა'', 2002, გვ. 64.

[3] იქვე, გვ. 84.

ნარკოტიკების სამკურნალო თავისებურებანი, მნიშნელოვნად გამოყოფდნენ ოპიუმს და ინდურ კანაფს.[4]

თემის აქტუალობა: ნარკომანია ეს საზოგადოების გარკვეული ნაწილის სენია, რომელიც არა მხოლოდ მომხმარებლებს, არამედ მათ გარშემო მყოფებს უქმნის რეალურ საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნარკოტიკული ნივთერებების მოხმარება კრიმინალიზებულია, მომხმარებელთა რიცხვის ზრდადობა თვალსაჩინოა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

კვლევის მიზანი: თემის მიზანია, გადმოგცეთ ინფორმაცია როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში ნარკოტიკების მიმართ არსებული მდგომარეობის შესახებ. ამასთან ერთად განხილულ იქნეს როგორც მსუბუქი ასევე ძლიერი ნარკოტიკები, რაც თვალსაჩინოს გახდის მისი ზემოქმედების შედეგად და ასევე შემამსუბუქებელი სანქციების დაწესების შემდგომ გამოწვეულ დადებით და უარყოფით მხარეებს.

კვლევის ამოცანაა: შესწავლილ და განხილული იქნეს დღეისათვის საქართველოში არსებული მდგომარეობა როგორც სოციალურ მხრივ, ასევე კანონმდებლობის მიხედვით. ამასთან ერთად საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა მათსავე კანონმდებლობის მიხედვით და მათი შედარება რაც თვალსაჩინოს გახდის გარკვეული რეგულაციების შეცვლით სავარაუდო შედეგის დადგომას საქართველოში.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის სრულფასოვნებისათვის, ჩემს მიერ გამოყენებულ იქნა კვლევის მეთოდები კერძოდ: სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა გარკვეული დასკვნების გამოსატანად, ასევე შედარებით-სამართებლივი მეთოდი, რის შედეგადაც შევძელი საქართველოს კანონმდებლობის შედარება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასთან რამაც ქვეყნებს შორის არსებული ნარკოტიკული მდგომარეობა მკაფიოდ გამოხატა.

[4] ა.მოსულიშვილი, ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები, 2009, გვ.15.

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას ჩემს მიერ გამოყენებული იქნა ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შემხებლობაში ყოფილიყო ყველა მნიშვნელოვან საკითხთან, რაც სახელმწიფო და საკანონმდებლო ნარკოპოლიტიკას შეეხება. თითოეული მათგანი სრულყოფილად მოიცავს და ამომწურავად გადმოგვცემს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რასაც ემსახურება კონკრეტული ლიტერატურული მასალა. ასეთები იყო: შ.საღირაშვილის ,,საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი'', ჯ.ჯანაშიას ,,XXI საუკუნის გამოწვევა'', რომელიც დამეხმარა, რომ მომეპოვებინა ინფორმაცია სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების წარმომავლობის შესახებ. ა.მოსულიშვილის ,,ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები'', ასევე გამოვიყენე იმ საკითხის გასაღრმავლებლად რაც ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ ინფორმაციას გულისხმობს. ა. გაბიანის ,, ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი მობინადრეები ანუ ნარკომანია და ნარკომანები'', მოცემული ლიტერატურის მეშვეობით შევიტყვე საქართველოში 60-იანი წლების პერიოდში არსებული ნარკოვითარების შესახებ. ჯ.ჯანაშიას ,,ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის სამართებლივ-სოციალური ასპექტები და პერსპექტივები. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი კრიმინოლოგი'', ეს კი 60-იანი წლების შემდგომ პერიოდს ასახავს, თუ როგორ განვითარდა ნარკოვითარება საქართველოში 80-90-იანი წლების პერიოდში. მზია ლეკვეიშვილის, ნონა თოდუას, გოჩა მამულაშვილის, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II'', გამოვიყენე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული კონკრეტული ნორმების სიღრმისეულად გასაცნობად.

ყოველივე ამასთან ერთად ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592, ,,ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'', 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/91701/722/725, ,,ჯამბულ გვიანაძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'', 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/13/732 ,,გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'', 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282 ,,ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ''. მივიღე ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ პროგრესირდა დროთა განმავლობაში საკონსტიტუციო გადაწყვეტილებების საფუძველზე ნარკო ვითარება საქართველოში. ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი'' (კონსოლიდირებული

ვერსია).,, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი'' (კონსოლიდირებული ვერსია).

,,საქართველოს კანონი, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოაქტიური ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' (კონსოლიდირებული ვერსია), გამოვიყენე იმისათვის რომ სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერებების ოდენობა განმესაზღვრა, თუ რომელი ნარკოტიკული ნივთიერების რა ოდენობა ითვლება მცირე, დიდ და განსაკუთრებულად დიდ ოდენობად.

გამოვიყენე როგორც მონოგრაფიული, ასევე მრავალი ქართული და უცხოური სამეცნიერო ნაშრომები, მათი მეშვეობით პირველ რიგში გავეცანი საქართველოში არსებულ ნარკოპოლიტიკურ ვითარებას, შემდგომ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ ნარკოპოლიტიკურ ვითარებას, რამაც შესაძლებლობა მომცა შედარებითი ანალიზი ჩამომეყალიბებინა. ასევე გავეცანი სტატისტიკურ მონაცემებს, რაც დამეხმარა თვალსაჩინო გამეხადა ნარკომომხმარებლების დამოკიდებულება ნარკოტიკების მიმართ.

ყოველივე ეს რაც გამოვიყენე სრულფასოვანი ნაშრომის წარმოსადგენად, ჩემთვის მეტად საჭირო და ინფორმაციული აღმოჩნდა. მათი მეშვეობით შევძელი სრულყოფილად გადმომეცა ის მნიშვნელოვანი საკითხები რაც ნარკოპოლიტიკას შეეხება.

თავი II სახელმწიფო და საკანონმდებლო ნარკოპოლიტიკა

2.1 ,,საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით''

საქართველოს მასშტაბით წარსულში არსებული მდგომარეობა ნარკო დანაშაულის სფეროში დაახლოებით გასული საუკუნის 60-იანწლებიდან იჩენს ყველაზე მეტად თავს, რა დროსაც აღინიშნა ნარკოტიკული საშუალებების (ოპიუმი, მორფიუმი, კანაბისი ად ა.შ) ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების მკვეთრი ზრდა.[5]

საქართველოში არსებულმა ამ სახის დანაშაულობამ პერიოდულად რამდენჯერმე საგრძნობლად გამოიჩინა თავი, ერთ-ერთი შემთხვევა იყო 80-იანი წლების ბოლოს, თუმცა ამ პერიოდში არსებულმა პრობლემამ და მისმა მცირე მასშტაბურობამ მხოლოდ მეცნიერთა და სპეცალისტთა გარკვეულ ჯგუფის ყურადღება მიიქცია, ამასთან ერთად აღსანიშნავია 1992-95 წლებში არსებული ვითარება, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, სწორედ ამ პერიოდში საერთაშორისო მაფია ცდილობს აზიიდან ევროპისაკენ სამხრეთ კავკასიის გავლით დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალების გადატანას. ამასთან დაკავშრებით არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, ,,1998 წლის 8 იანვარს სარფის საბაჟოზე, თურქმა მებაჟეებმა ტურისტული ავტობუსის სამალავიდან, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო გადასერა ამოიღეს 486 კგ და 976 გრ. ჰეროინი''.[6]

კონკრეტული ინფორმაცია გადმოგვცემს საქართველოში არსებულ ვითარებას წარსულში, ეს პერიოდი გახლდათ ნარკომანიის ამოსავალი წერტილი, რა დროიდანაც საქართველო ებრძვის ნარკომანიას და მის განვითარებას.

მდგომარეობას უფრო ამძაფრებს, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ქვეყანას აზიიდან ევროპისკენ, ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთ მნიშნელოვან ტრასად აქცევს. ამ თვალსაზრისით საქართველო მოგვევლინა იმ მარშუტების უშუალო დამაკავშირებლად, რომელთა მეშვეობითაც ნარკოტიკების ნაწილი საქართელოში რჩება და ხელს უწყობს მათი მოხმარების ზრდას ქვეყანაში. ბოლო წლებში მკვეთრად არის გაზრდილი ნარკოტიკების

[5] ა.გაბიანი, ,,ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრეები ანუ ნარკომანია და ნარკომანები'' 2011, გვ.8

[6] ჯ.ჯანაშია, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის სამართებლივ-სოციალური ასპექტები და პერსპექტივები. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი კრიმინოლოგი. #2, 2008, გვ.15

ევროპიდან საქართველოში შემოტანა ამ მხრივ აღსანიშნავია ექსტაზი და სუბოტექსი რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში როგორც ნარკოტიკი არც კი განიხილება.[7]

საქართველოში ბოლო დროს თავს იჩენს არა მხოლოდ ის ნარკოტიკული ნივთიერებები რომლებიც გასული საუკუნის დროიდან მოგვსდევს, არამედ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებებიც რომლებსაც ე.წ. ,,კლუბურ ნარკოტიკებს'' ვუწოდებთ. მოგეხსენებათ საქართელოში არ არის ლეგალური ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, როგორც სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ნორმას, რის მიხედვითაც განსაზღვრულია ამა თუ იმ ნარკოტიკული ნივთიერების მიმართ განხორციელებული ქმედება (შეძენა, შენახვა, გასაღება, მოხმარება და სხვა) რა სახით უნდა ითვალისწინებდეს პასუხისმგელობას პირის მიმართ, რომელიც ამ სახის დანაშაულობას ჩადის.

საქართველოში ძალიან ბევრი ნარკოტიკული საშუალებაა გავრცელებული, ხდება როგორც მათი დათესვა მოყვანა და კულტივირება, ასევე არსებობს ისეთი სახის ნარკოტიკული საშუალებები, რომლებიც გაურკვეველი გზით, განსაკუთრებული დიდი ოდენობით აღწევს ჩვენს ქვეყანაში, ამის შემდეგ ხდება მისი გასაღება ე.წ. ნარკორეალიზატორებისაგან, რომლებიც სხვადასხვა გზით ახორციელებენ ამას, შესაძლოა ეს ხდებოდეს ღამის კლუბებში სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა მათ, ასევე დაუსახლებელ ადგილებში სადაც უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს და ყველაზე რთული სქემა არის ჩვენთვის ცნობილი ,,დადების მეთოდი'', როდესაც ნარკორელიზატორები სხვადასხვა ადგილებში ფარულად დებენ ნარკოტიკულ საშუალებებს და შეძენის შემდგომ მომხმარებელს შეუძლია კონკრეტულ მისამართზე მისვლა და მისი აღება, ამის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა მედიის საშუალებით, როდესაც არაერთი პირი იქნა დაკავებული ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ფაქტზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებას.[8] მოცემულ მუხლს თან ახლავს დამამძიმებელი გარემოებებიც, რაც დამოკიდებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე და ნარკოტიკული ნივთიერების რაოდენობაზე.

---

[7] ა.მოსულიშვილი, ,,ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები'' 2009, გვ. 38-39.

[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კონსოლიდირებული ვერსია) 260-ე მუხლი. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233]

საქართველოში გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებებია: დეზომორფინი, რომელიც ოპიოიდების ჯგუფს მიეკუთვნება, მან შავ ბაზარზე ყურადღება დაბალი ხარისხის გამო მიიპყრო, მისი ერთ-ერთი ინგრედიენტია ნარევი, რომელიც საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში კანალიზაციის მილების საწმენდად გამოიყენება, მას აქვს ძლიერი ტოქსიკური ზეგავლენა ორგანიზმზე, მისი მოხმარება შესაძლებელია ინექციურად რაც შემდგომში იწვევს წყლულებს კანზე, ინფექციებს და განგრენას. მას თან ახლავს ფსიქოლოგიური ეფექტები: ეიფორია, ტკივილის შემსუბუქება, მეხსიერების დაქვეითება, აბნეული მეტყველება და სხვა, ასევე რაც შეეხება ფიზიკურ ეფექტებს იგი იწვევს გულისრევას და ღებინებას, ქავილს, სასუნთქი გზების დათრგუნვას და კანი იძენს შავ ან მწვანე შეფერილობას, ასევე ზიანდება სისხლძარღვები, ვითარდება პნევმონია, ძვლის ინფექციები, მენინგიტი, ფილტვებისა და თირკმელების დაზიანება. ამ ნარკოტიკულ საშუალებას ასევე ვიცნობთ სხვადასხვა სახელწოდებებით: ,,ნიანგი'', ,,რუსული მაგია'', ,,Zombie drug''.[9] მოცმეული ნარკოტიკული ნივთიერება კრიმინალიზირებულია საქართველოში, კანონმდებლობის შესაბამისად მცირე ოდენობად ითვლება 0,001გრ, დიდი ოდენობა: 0,01გრ და განსაკუთრბეულად დიდ ოდენობად 1 გრ.[10]

ჰეროინი, იგი მიეკუთვნება ოპიოიდების ჯგუფს, სუფთა ჰეროინი არის თეთრი ფხვნილი მწარე გემოთი, ხოლო სირეცი მოყავისფრო ფხვნილი ან შავი წებოვანი ფისი, რომელიც ჰეროინამდე მიყვანისთვის საჭიროებს მჟავას. მისი მოხმარების გზებია როგორც ინექცია ვენაში, ასევე ინჰალაცია, რის შედეგადაც მომხმარებელი განიცდის სიამოვნების ძლიერ გრძნობას, რომელიც რამდენიმე წამი გრძელდება. ამას მოჰყვება ,,წამოხურების'' ეფექტი, რაც 4-6 საათამდე გრძელდება. მასთნ ახლავს ხანგრძლივი რისკები, ინსომნია, გულის სარქველების ინფექცია, ღვიძლისა და თირკმელების დაავადებები, ფსიქიკური აშლილობა, სექსუალური დისფუნქცია. ფიზიკურ ეფექტებში გამოირჩევა პირის სიმშრალე, შევიწროვებული გუგები, გულისრევა და ძლიერი ქავილი. ჰეროინის ალტერნატიულ დასახელებად ასევე გამოიყენება ,,Brown'', ,,Junk'' ,,H''.[11] ჰეროინი ასევე კრიმინალიზირებულია და მის მცირე ოდენობად ითვლება 0,005 გრ., დიდ ოდენობად 0,2 გრ. და განსაკუთრბეულად დიდ ოდენობად კი 1 გრ.[12]

---

[9] [https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/დეზომორფინი/]

[10] საქართელოს კანონი, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარბეის შესახებ. (კონსოლიდირებული ვერსია) [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=18]

[11] [https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/heroine-ჰეროინი/]

[12] საქართელოს კანონი, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ.(კონსოლიდირებული ვერსია) [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=18]

კოკაინი დამზადებულია მცენარე კოკას ფოთლებისაგან, რომლის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა, მიუხედავად იმისა, რომ კოკაინის გამოყენება შესაძლებელია სამედიცინო მიზნით, როგორიცაა ადგილობრივი ანესთეზია, კოკაინი არალეგალური ნარკოტიკული საშუალებაა. იგი ჰგავს თეთრ, კრისტალურ ფხვნილს, როგორც წერსი მოხმარების გზად მიჩნეულია მისი შეყნოსვა, მაგრამ ასევე შესაძლებელია მისი ინექციური მოხმარებაც. მას ყველაზე მძაფრი მასტიმულირებელი ეფექტი აქვს, იგი იწვევს ენერგიას, ეიფორიას მღელვარებას რაც ერთ საათამდე გრძელდება. მის მოხმარებას თან ახლავს რისკები როგორიც არის, ცხვირის ქსოვილების მოსპობა, მომატებული აგრესია, მისმა გადაჭარბებულმა მოხმარებამ შესაძლოა გამოიწვიოს შიშები და დელუზიები მაგ: კანზე მცოცავი ცოცხალი არსებების დანახვა. მისი მომხმარებლები ხშირ შემთხვევაშ განიცდიან მოუსვენრობას. ორგანიზმი იმდენად ეჩვევა კოკაინს, რომ მის მომხმარებლებს სჭრირდებათ რაც შეიძლება მეტი და მეტი დოზა, რომ იგივე ეფექტი მიიღოს, ამას მოსდევს ლტოლვა, მომხმარებელთა 17%-ს შესაძლოა განუვითარდეს დამოკიდბეულება, რადგან კოკაინს აქვს ფიზიკური და ძალიან ძლიერი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების პოტენციალი.[13] საქართველოში კოკაინი მცირე ოდენობათ ითვლება 0,0 6გრ, დიდ ოდენობად 0,6 გრ, განსაკუთრებულად დიდ ოდენობად კი 6 გრ.[14]

ექსტაზი იგივე ,,MDMA'',-ის არის როგორც სტიმულატორი, ასევე ჰალუცინოგენი, მისი მოხმარების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ტაბლეტირებული ფორმის გადაყლაპვა, მაგრამ ამასთან ერთად შესაძლებელია მისი მოხმარება როგორც შეყნოსვით, ასევე ინექციის გზითაც. იგი მიეკუთვნება ,,კლუბურ ნარკოტიკებს''. ერთის მხრივ მასტიმულირებელი ხოლო მეორეს მხრივ ჰალუცინოგენური, ნებისმიერი ნარკოტიკის მსგავსად, ექსტაზის შემთხვევაშიც, ეფექტი დამოკიდბეულია არა მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების შემადგენლობაზე, არამედ მომხმარებლის სხეულის აგებულებაზე, განწყობაზე მოლოდინებსა და გარემოს იმ პირობებზე, რომელშიც ხდება მისი მიღება. მისი ფსიქოლოგიური ეფექტები გამოიხატება მოძრაობის, საუბრის, ცეკვის, კონტაქტის დამყარების სურვილში, ემპათიის და სიყვარულის შეგრძნებაში, ტკივილის შემცირებულ შეგრძნებასა და ემოციურ სითბოს განცდაში, რასაც თან ახლავს ეიფორია. ექსტაზის მოხმარებას თან ახლავს რისკები, რის შდეგადაც შესაძლოა მომხმარებელს დაუზიანდეს ღვიძლი და თირკმელები, ასევე იგი იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, სხეულის

[13][https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/cocaine-კოკაინი/]

[14] საქართველოს კანონი, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ.(კონსოლიდირებული ვერსია) [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=18]

გამოფიტვასა და მეხსიერების გაუარესებას.[15] მოცემული ნარკოტიკული ნივთიერების მცირე ოდენობად ითვლება 0,05 გრ, დიდ ოდენობად 0,5 გრ და განსაკუთრებით დიდ ოდენობად 1 გრ.[16]

,,LSD'' ელესდე (ლიზერგინის მჟავა), იგივე ყვითელი მზის სხივი, მჟავა და ილუზია, ნახევრად სინთეტიკური ნარკოტიკია, იგი არის კაფსულებში უფერო, უსუნო და გემოს არ მქონე სითხის სახითაც, თუმცა ტრადიციულად მისი დისტრიბუცია ხდება მცირე ოთხკუთხედი ფორმის ბლოტერებით, იგივე ენაზე ან ენის ქვეშ დასაწებებელი მარკებით, რომლებზედაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ფერადი ლოგოები და ფიგურებია გამოსახული. ბლოტერის ქაღალდი, გაყოფილი ოთხ ნაწილად, თითოეულ მეოთხედს ეწოდება ,,ჩეკი'' და ეს ერთი ჩეკი შეიცავს 30-100 მიკროგრამ LSD-ს, ასეთი საშერობი ქაღალდები იჟღინთება LSD-ს ხსნარით რადგან ხსნარის განზავების ხარისხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია, ძალიან ძნელია, განისაზღვროს LSD-ს შემცველობა თითოეულ ჩეკში. LSD აძლიერებს არსებულ ემოციებს, ცვლის დროისა და სივრცის აღქმას, მისი მიღების შემდეგ სმენა, ყნოსვა და შეგრძნებები შესაძლოა გახდეს უფრო ინტენსიური და საგნებმა შესაძლოა სინათლე გამოსცენ, მომხმარებელმა ამასთან ერთად რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს შესაძლოა დაიწყოს მუსიკის ,,ნახვა'', ნახატის ,,მოსმენა'' ან ფერის ,,ყნოსვა'', უძრავი საგნები ამოძრავდეს, სივრცე გაიზარდოს და დაპატარავდეს, მას ასევე თან ახლავს პანიკური რეაქციები, გაუცნობიერებული შიშები, არაპროგნოზირებადი ემოციები და სუიციდური აზრები. მისი ფიზიკური ეფექტები გამოიხატება, გუგების გაფართოებაში, გაშეშებაში, ნერწყვის გამოყოფით, მას ასევე შეუძლია გამოიწვიოს ჰიპერთერმია, გულისრევა, პირის სიმშრალე და ოფლიანობა. მისი მოქმედება მიღებიდან იწყება 30 წუთში, ეფექტი კი 6-8 საათს გრძელდება, თუმცა შესაძლოა გაგრძელდეს 12 საათამდეც. LSD არ იწვევს ფიზიკურ დამოკიდებულებას, ფსიქოლოგიური დამოკიდებულების პოტენციალი კი უცნობია, თუმცა LSD-მ შეიძლება სწრაფად წარმოშვას ტოლერანტობა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი იღებს უფრო და უფრო მეტ ნარკოტიკს, რომ მიიღოს იგივე ეფექტი, რაც ადრე ჰქონდა განცდილი.[17] ლიზერგინის მჟავა კრიმინალიზირებულია საქართველოში და მის

[15] [https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/ecstasy-mdma-ესქტაზი-მდმა/]

[16] საქართველოს კანონი,ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპულინივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ.(კონსოლიდირებული ვერსია) [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=18]

[17] [https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/ელესდე/]

მცირე ოდენობად ითვლება 0,00002 გრ, დიდ ოდენობად 0,0002 გრ და განსაკუთრებუთ დიდ ოდენობად კი 0,001 გრ[18]

კანაფი (მარიხუანა), ყველაზე მეტად გავრცელებული მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებაა საქართველოში, მას როგორც წესი სიგარეტის ქაღალდში გახვეულს ეწევიან, ასევე შესაძლებელია იგი დაუმატონ საკვებს, ნამცხვარს ან ჩაის. მცენარეში არსებული ფსიქოაქტიური ნივთიერებებია კანაბინოიდები, რომლებიც მოქმედებენ ტვინის სპეციფიკურ რეცეპტორებზე, ტეტრაჰიდროკანაბინოლი (THC) და კანაბიდიოლი (CBD) რაოდენობა მცენარეში განსაზღვრავს კანაფის ეფექტს, როგორიცაა: ეიფორია, გამძაფრებული სენსორული გამოცდილება და რელაქსაცია, ასევე ამცირებს გულისრევას, ტკივილს და ახდენს მათ სტიმულირებას. მცენარე კანაფი შესაძლოა იყოს მდედრობითი და მამრობითი, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობით, რაც უფრო მეტია მდედრობით მცენარეში, ხოლო ფოთლებსა და მამრობით მცენარეში მისი კონცენტრაცია ნაკლებია, მარცვალსა და ღეროში კი თითქმის არ არის. მცენარე კანაფი რამდენიმე სახეობის არსებობს და მათი გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის ხდება, როგორიც არის სამრეწველო საქმიანობა, რეკრეაციული ან სამედიცინო მიზნებისათვის სადაც ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC) რაოდენობა მაღალია (5%-35%) და ფსიქოაქტიური ეფექტი აქვს. მარიხუანა არის ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველი კანაფის მცენარის გამომშრალი ყვავილი ფოთლები, მცენარის ნაწილზე პატარა ჯირკვლებია, რომლებისგანაც გამოიყოფა ფისი, მარიხუანის შეფერილობა შესაძლებელია იყოს ნაცრისფერი-მწვანე ან მწვანე-ყავისფერი, ამავდროულად შესაძლოა ჰქონდეს ტკბილი სურნელიც. ამასთან ერთად აღსანიშნავია ჰაშიში, რომელიც კანაფის მცენარის წებოვანი ფისისგან მზადდება, იგი ფსიქოაქტიური ინგრედიენტების ყველაზე დიდ რაოდენობას შეიცავს. კანაფის ეფექტები დამოკიდებულია მის სახეობაზე, მოხმარების მეთოდსა და ხარისხზე, ასევე მგრძნობელობაზე, მოლოდინებზე და გარემოზე რომელშიც მოიხმარენ. მის მოხმარებას თან ახლავს შემდეგი ფსიქოლოგიური ეფექტები, როგორიც არის: განწყობებისა და შეგრძნებების გაძლიერება, მომხმარებლებს ეუფლებათ განცდა, რომ კანაფი ასტიმულირებს ფიქრების სამყაროს, კრეატიულობას, წარმოსახვას და სამყაროსადმი პოზიტიურ ხედვას. ამავდროულად THC ზრდის სენსორულ მგრძნობელობას ამაში მოიაზრება ფერები, მუსიკის ინტენსივობა, იცვლება დროის შეგრძნება, ხანდახან იწვევს სიცილის შეტევას. ყოველივე ამასთან ერთად მარიხუანას მოხმარებას

[18] საქართველოს კანონი, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარბეის შესახებ. (კონსოლიდირებული ვერსია) [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=18]

თან ახლავს გრძელვადიანი რისკები, კანაფის ხშირი მოხმარება კონცენტრაციას აუარესებს, მეხსიერებასა და დასწავლას. პირი, რომელიც თავს ანებებს კანაფის მოხმარებას რამდენიმე თვე სჭირდება მას, რომ აღდგეს კოგნიტური ფუნქციები, კანაფის მოხმარება ყველაზე მეტ ზიანს აყენებს მათ, ვინც ახალგაზრდა მომხმარებელია, მასში იწვევს გრძელვადიან ცვლილებებს ტვინში, არსებობს ალბათობა, რომ შესაძლოა განვითარდეს დამოკიდებულება და ფსიქოზი.[19]

საქართველოში სხვა ნარკოტიკული ნივთიერებებისაგან განსხვავებით, მარიხუანა დეკრიმინალიზირებულია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბერს დააკმაყოფილა ბექა წიქარიშვილის საკონსტიტუციო სარჩელი. დავის საგანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების ,,ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე'' იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც აწესებდა სასჯელს ,,ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოაქტიური ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება შეძენა-შენახვისათვის, საქართელოს კონსიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით და დაადგინა, რომ კონკრეტული სადაო ნორმა არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან კონსტიტუციის მიზნებიდან გამომდინარე დაცული უნდა იქნეს ადამიანის უფლებები. რაც წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევას საქართელოს კონსტიტუციის ძველი რედაქციით ეს მუხლი მოიცავდა შემდეგ დეფინიციას, ,,დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება''. დაუშვებლად მიიჩნია ამ მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩარევა და მისი დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებად, სამართლიანი სახელმწიფოს ვალდებულებად გარანტად აღიარა. განმარტა, რომ სადავო ნორმის სასჯელი ვერ ასრულებდა სასჯელის მიზნებს და არ იყო ქმედების პროპორციული. გამოკვეთა სახელმწიფოს ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ სასჯელი ვერ ასრულებდა მის მიზანს. სადავო მუხლით არსებული საფრთხე სასამართლომ მიიჩნია აბსტრაქტულად და დაადგინა ,,ადამიანებს უნდა შეეძლოთ ისარგებლონ საზოგადოების და სამართლის განვითარების პროგრესული და ჰუმანური აზროვნების პოზიტიური შედეგებით''. ამ გარემოებების გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი, რომ ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად

[19] [https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/კანაფი/]

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების ,,ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე'' ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართებლივი სასჯელის სახით თვისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' საქართელოს კანონი დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება-გამომშრალი კანაფის (მარიხუანის) პირადი მოხმარების მიზნებისათვის შეძენის და შენახვის გამო. სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული სამართლებრივი და ფაქტობრივი არგუმენტები, სადაც ყურადღება გაამახვილეს კანაფის (მარიხუანას) შემცველობაზე კერძოდ: ,,ნებისმიერი ოდენობის მარიხუანა, რომელიც თუნდაც მცირე ოდენობით შეიცავს ტეტრაჰიდროკანაბინოლს, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ნარკოტიკული საშუალება, ,,THC'' მცირე პროცენტული შემცველობის მქონე მარიხუანიდან შესაძლებელია ნარკოტიკული საშლების ე.წ. ,,მანაგუას'' ზეთოვანი სითხის დამზადება. ასევე ყურადღება გამახვილდა იმ უარყოფით გავლენებზე, რომელსაც კანაბისი ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფსიქიკურ მდგომარეობაზე, განვითარებასა და შრომის უნარიანობაზე. მერაბ ტურავამ გამოხატა ამ საკითხთან დაკავშრბეით განსხვავებული აზრი, რომ შესაძლებელია პირმა 70 გრამი მარიხუანა შეიძინოს და შეინახოს გასაღების წინასწარი განზრახვის გარეშე, მაგრამ ყოველთვის არსებობს იმის აბსტრაქტული საფრთხე, რომ მარიხუანის ეს ოდენობა შეიძლება სხვა პირების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ხელში აღმოჩნდეს და კანაფის (მარიხუანას) მფლობელი ზოგჯერ მისდაუნებურად გახდეს მისი გამსაღებელი წინასწარი განზრახვის გარეშე.[20]

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში შეტანილი იქნა ცვლილება, რაც გულისხმობს იმას, რომ პირს არ ეკისრება სისხლისსამართებლივი პასუხისმგებლობა, (70 გრამამდე) გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა შენახვის გამო.[21]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლი, ითვალისწინებს სისხლისსამართებლივ პასუხისმგებლობას, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592. საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[21] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი.

უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირებისათვის.[22] მოცემული მუხლის სანქცია შემსუბუქდა მცენარე კანაფის (მარიხუანის) მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე. საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანაძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართელოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვას, მოყვანასა და კულტივირებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნარკოტიკული საშალების შემცველ მცენარეში გამოყოფილია მხოლოდ კანაფი (მარიხუანა). მოცემული გადაწყვეტილების დავის საგანს წარმოადგენდა: საქართელოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების ,,ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე'' იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ,,ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' საქართელოს კანონის დანართი №2-ის 73-ე ჰორიზონტალური გრაფით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება კანაფის დიდი ოდენობით უკანონო დათესვას, მოყვანის ან კულტივირებისათვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. სასამართლომ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სარჩელი და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი: საქართელოს სისხლის სამართლის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარში, რომელიც ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის დანართი №2-ის 73-ე ჰორიზონტალური გრაფით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება კანაფის პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისათვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. მოცემულ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ 150,72 გრ. და 63,73 გრ. კანაფი არ შეიძლება ჩაითალოს იმ ოდენობად, რომელიც არ არის კანკუთვნილი პირადი მოხმარებისათვის და რომელიც ავტომატურად ქმნის მისი გავრცელების და შესაბამისად სხვათა ჯანმრთელობის დაზიანების გარდაუვალ საფრთხეს. ამიტომ სადავო ნორმით გათალისწინებული პასუხისმგებლობა ვერ ჩაითლება პროპორციულ საშუალებად, ვინაიდან ასეთი ოდენობა არ მიუთითებს მისი გასაღების მიზანზე, რეალიზაციის

[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლი.

რეალურ საფრთხეზე და სხვების ჯანმრთელობისათვის საფრთხის მაღალი ალბათობით შქმნაზე.[23]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან კანაფის დათესვის და კულტივირების დასჯადობა განპირობებულია მისი მოხმარების და რეალიზაციის თავიდანაცილების მიზნით. კანაფის გარკვეული ოდენობის დათესვის კანონიერად ცნობა გამოიწვევს საზოგადოებაში ჯანმრთელობის მიმართ მაღალ რისკებს, ამასთან ერთად შესაძლებელია კანაფის პროდუქტი აჩენდეს სხვა მეტად მძიმე ნარკოტიკულ საშალებაზე დამოკიდებულების საფრთხეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი არეგულირებს, ნარკოტკიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადებას, შეძენას, შენახვას გადაზიდვას, გადაგზავნას ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებას.[24]

მცენარე კანაფის (მარიხუანას) მიმართ რეგულაცია ამ კუთხით კიდევ უფრო შემსუბუქდა, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოცემული მუხლის ცვლილებებთან დაკავშირებით, დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართელოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების ,,ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება'' იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ,,ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება კანაფის მოხამრებისათვის. საქართელოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და სარჩელი დააკმაყოფილა.[25]

მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკული საშუალების შემცველ მცენარე კანაფის (მარიხუანას) მიმართ სისხლისსსამართებლივი სანქციები შემსუბუქებულია და

[23] საქართელოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/91701/722/725. საქართელოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანაძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართელოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[24] საქართელოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი.

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/13/732, საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დეკრიმინალიზირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი აწესებს რიგ შეზღუდვებს: მუხლი 45 მოიცავს, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხამრებას, რაც იწვევს ადმინისტრაციულ ჯარიმას, ან გამონაკლის შემთხვევაში თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნა მიჩნეული, ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.[26]

მოცემულ ნორმასთან დაკავშირებით, 2018 წლის 30 ივლისს, მიღებული იქნა საკონსტიტუციო გადაწყვეტილება. ,,საქართველოს მოქალაქეები ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'', დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 40-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების ,,ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება'' იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მარიხუანის მოხმარების ზოგადი, ბლანკეტური ხასიათის აკრძალვა წარმოადგენს ადამიანის პიროვნული ავტონომიით დაცულ სფეროში არაპროპორციულ ჩარევას, და ამდენად არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში რაიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი №1282 (საქართველოს მოქალაქეები ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს ადმიანისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების ,,ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება'' ის ნორმატიული შნაარსი, რომელიც ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 35-ე პუნქტში მითითებული გარემოებების არარსებობისას

[26] საქართელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 45

ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ,,ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისათვის.[27] მოცემული გადაწყვეტილების მიუხედავად, 35-ე პუნქტი გვამცნობს, რომ სასამართლო არ გამორიცხავს სხვათა მიმართ გარკვეულ საფრთხეს მარიხუანის განსაზღვრულ გარემოებებში მოხმარების დროს, მაგალითად, სკოლებში მარიხუანის მოხმარებისას, ან სხვა ვითარებაში, კერძოდ არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში ან/და მათი თანდასწრებით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოზარდზე. შესაბამისად, გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა მისი მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დასაცავად, ასევე გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა სხვა სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამედიცინო, სახელმწიფო დაწესებულებებში, საზოგადოებრივ თავშეყრის ზოგიერთ ადგილას. მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშრებული შეზღუდვების დაწესებისას, შესაძლოა რელევანტური იყოს ალკოჰოლურ სასმელებთან და თამბაქოს კონტროლთან დაკავშრებული, ისევე როგორც მათგან განსხვავებული, მათ შორის უფრო მკაცრი რეგულაციებიც მოხმარების ადგილსა თუ ვითარების გათალისწინებით, რომელთა განსაზღვრაც კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს, ამასთან სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კერძო პრივატულ სივრცეში ან სხვაგან, დასვენების, განტვირთვის, გართობის მიზნით, როდესაც მარიხუანის მოხმარება არ არის ჩადენილი ამ პუნქტში მითითებულ ადგილებსა და ვითარებაში, მის დასჯადობას და ამისათის სასჯელის დაკისრებას არ გააჩნია არავითარი კონსტიტუციურსამართებლივი გამართლება.[28]

ამასთან ერთად აღსანიშნავია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-100[2] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მცირე ოენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა, კულტივირებას. მოცემული მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიწვევს დაჯარიმებას ან გამონაკლის შემთხვევაში თუ საქმის გარემოებების და დამრღვევის პიროვნების გათალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული ადამინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.[29]

---

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018წლის 30ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282, საქართელოს მოქალაქეები ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართელოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[28] იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 35

[29] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 100[2]

სხვა ნარკოტიკული საშუალებებისაგან განსხვავებით კანაფი (მარიხუანა) დეკრიმინალიზირებულია, მაგრამ მის მიმართ მოქმედებს როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები, რომლებიც არეგულირებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროგრესირებას. მარიხუანის მიმართ არსებული საკანონმდებლო შეზღუდვები ოდენობის მიხედვით კი ასეთია: მცირე ოდენობად ითვლება 5გრ-მდე, დიდ ოდენობად 70 გრ-დან და განსაკუთრებით დიდ ოდენობად 500 გრ-დან გამომშრალი მარიხუანა.[30]

საკონსტიტუციო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, პირს უფლება აქვს 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანას შეძენა-შენახვის პირადი მოხმარების მიზნით, ამასთან ერთად თუკი დათესილი, მოყვანილი ან კულტივირებულია მარიხუანა, რომლის გამოშრობის შედეგად შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხოლოდ 70 გრამამდე მცენარე, ბრალდებულის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული სსკ-ის 265 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა.[31]

ნორმებს შორის არსებული კოლიზია გვევლინება იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ეძლევა საშუალება მისივე ნების გამოვლენით მოიხმაროს კანაფი (მარიხუანა), მაგრამ მას არ აქვს უფლება, რომ დაშვებული ოდენობა თან ჰქონდეს და გადაადგილდებოდეს ,,ა'' პუნქტიდან ,,ბ'' პუნქტში, ასევე შეიძინოს ის, დათესოს ან მოიყვანოს. ეს ყოველივე წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან. თუ პირს ეძლევა უფლება იმისა, რომ მოიხმაროს კანაფი მისი სურვილისამებრ, ასევე ჰქონდეს 70 გრამამდე გამომშრალი კანაფი (მარიხუანა) პირადი მოხმარების მიზნით, ამ შემთხვევაში ვიკვეთებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან რაც შეუსაბამობაში მოდის, რომ პირს დაეკისროს ფულადი ჯარიმა იმ ქმედების გამო რაც კონსტიტუციურად დასაშვებია.

იმისათვის, რომ კანონის ეს ნორმები იყოს სიცოცხლის უნარიანი სამართლებრივად, უნდა მოხდეს კანონში ცვლილება ადმინისტრაციული სამართლის კუთხით. რეალურად პირს მაინც უწევს ფარული უკანონო მეთოდის გამოყენება, და აი რატომ: იმისათვის, რომ პირს თუნდაც პირადი მოხმარებისათვის ჰქონდეს წვდომა კანონით განსაზღვრულ და დაშვებულ ოდენობაზე

[30] საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ. (კონსოლიდირებული ვერსია) [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=18]

[31] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ.მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II. თბ., 2017, გვ.96.

მას ან სხვა პირს მაინც უწევს კანონის გვერდის ავლით მოქმედება. მოქმედებაში ვგულისხმობ კანონით დაშვებული კანაფის ოდენობით დათესვას, მოყვანასა და კულტივირებას.

წარმოგიდგენთ საქართველოს პროკურატურის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კვლევებს, რომლებიც ასახავს ნარკოტიულ დანაშაულობის სტატისტიკურ მონაცემებს: აღსანიშნავია იმ ასაკის დადგენა, როდესაც გამოკითხულმა პირებმა პირველად მოიხმარეს ნარკოტიკული საშუალება, თუ რომელი ნარკოტიკული საშუალება გასინჯეს პირველად, ამის შემგომ რომელ ნარკოტიკული ნივთიერების მიმართ გაუჩნდათ ინტერესი, გახდნენ თუ არა ნარკოდამოკიდებულნი და რა ვადაში, ასევე იყვნენ თუ არა ინფორმირებულნი ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისას თანმხლები რისკების შესახებ. ყოველივე ეს წარმოადგენს არსებული კვლევის ძირითად ამოცანას, რაც დაგვეხმარება იმის გარკვევაში თუ რა სტრატეგია შეიძლება იქნეს შემუშავებული პრევენციის მოსახდენად.



სტატისტიკიდან გამომდინარე საშუალო ასაკი როდესაც რესპოდენტებმა პირველად მოიხმარეს ნარკოტიკული საშუალება არის 21 წელი. მინიმალური ასაკი 10 წელია ხოლო მაქსიმალური კი 56. ყველაზე ხშირად განმეორებული ასაკი 18.

ასევე, მნიშნელოვანია იმის გარკვევა გამოკითხულმა რესპოდენტებმა პირველად თუ რომელი სახის ნარკოტიკული ნივთიერება მოიხმარეს:



იმ რესპოდენტთა 56,6% რომლებმაც პირველად მარიხუანა მოიხმარეს, ადასტურებენ, რომ შემდეგ გასინჯეს უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალება



რესპოდენტთა 59,2% ვინც პირველად მოხმარებულ ნარკოტიკად მარიხუანა დაასახელა, აცხადებს, რომ არ გამხდარა დამოკიდებული ნარკოტიკულ საშუალებაზე.



ამასთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ნარკოტიკული საშუალება საზიანოა ჯანმრთელობისათვის, იწვევს მიჩვევას და მისი მოხმარება ისჯება კანონით. თუმცა მაინც საკმაოდ მაღალია იმ რესპოდენტთა პროცენტული წილი ვინც ამბობს, რომ არ ჰქონდა გააზრებული აღნიშნული ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარებისას.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, რესპოდენტთა უმრავლესობამ პირველად ნარკოტიკული საშუალება მოიხმარა 10-24 წლის ასაკში. ამდენად შესაძლოა ითქვას, რომ განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები, მნიშვნელოვანია პრევენციული

ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვა სკოლის მოსწავლეებთან და ახალგაზრდებთან, სასურველია ასევე ოჯახისა და სკოლის ინსტიტუტების ჩართვა პრევენციის პროცესში.[32]

2017 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოში დაახლოებით, 52 500 ინექციური მომხმარებელია, მათ მიერ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება პრობლემატურია, რადგან რეგულარულ ხასიათს ატარებს. საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების დონე მატულობს: 2009, 2012 და 2014 წლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომელთა მიხედვითაც მომხმარებელთა რაოდენობა, აღნიშნული წლების შესაბამისად 40 000-დან 49 700-მდე გაიზარდა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საქართველოს ეროვნულმა ცენტრმა 2016 წელს ჩაატარა კვლევა, რადგან გამოევლინა არალეგალური ნარკოტიკის ერთხელ მაინც მოხმარების შემთხვევები, 15-16 წლის მოზარდებს შორის. ამ მხრივ საქართველოს მონაცემები საშუალო ევროპულ ინდიკატორზე ნაკლებია. მაგრამ იმავე კლვლევამ აჩვენა, რომ მარიხუანის გარდა სხვა ნარკოტიკულ საშუალებების მოხმარებით საქართველო უსწრებს ევროპის საშუალო მაჩვენებელს.[33]

რაც შეეხება მკურნალობის და რეაბილიტაციის პროგრამებს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ნარკოტიკების მომხმარებლებს უფასოდ სთავაზობს ოპიოიდური დამოკიდებულების მეტადონით ან სუბოტექსით ჩანაცვლების თერაპიას და ხანმოკლე დეტოქსიკაციის და რეაბილიტაციის სერვისს. საქართველოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები, რომ რეაბილიტაციის ეს პროგრამები რაც შეიძლება მეტი ნარკომომხმარებლისათვის გამხდარიყო ხელმისაწვდომი. 2015 წელს გაუქმდა ლიმიტი პაციენტების რაოდენობაზე, რომლებსაც კონკრეტული პერიოდის განმავლობაში შეეძლოთ მეტადონით ჩანაცვლების პროგრამით სარგებლობა. სამწუხაროდ მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლები ასახელებენ რისკს, რომ სხვა პირებიც შეიტყობენ მათი წამალდამოკიდებულების შესახებ.[34]

ნარკომომხმარებლების მიერ დასახელებული რისკი, იმის შესახებ, რომ სხვა პირები შეიტყობენ მათი წამალდამოკიდებულების შესახებ, არ წარმოადგენს გონივრულ რისკ ფაქტორს. მომხმარებლების პერსონალური ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური. იმ შემთხვევაში

---

[32] საქართველოს პროკურატურა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან. 2017წ. გვ.12-16. გვ. 21, 32.
[33] ,,სამაგალითო დასჯა'' საქართელოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები. [https://www.hrw.org/ka/report/2018/08/13/321308]
[34] იქვე. [https://www.hrw.org/ka/report/2018/08/13/321308]

როდესაც მომხმარებელი იაზრებს, რომ მას დახმარება ესაჭიროება უნდა იქნეს ყველა ზომა მიღებული მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მომხმარებლებმა უნდა შეძლონ საკუთარ თავში არსებული ბარიერის გადალახვა, რაზეც ვფიქობ, რომ მხოლოდ არსებულ პროგრამაში ჩართვა არ არის საკმარისი, ამათან ერთად აუცილებელია ფსიქოლოგთან კონსულტაცია რაც მათ ცნობიერებას აუმაღლებს და დაეხმარება ისეთი ქმედების განხორციელებაში, რაც მომავლის უკეთესობისაკენ შეცვლის სწრაფვის სურვილს აღუძრავს.

2.2. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებში 9 ქვეყანამ დაადგინა სრული ლეგალიზაცია, სხვა ქვვეყნებმა გადაწყვიტეს უფრო თანდათანობითი მიდგომა. მათ დეკრიმინალიზაციის ნიმუში აირჩიეს. ამ ქვეყნებში მცირე რაოდენობის კანაფის შენახვა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. დიდი ოდენობის ფლობა ან კანაფის გაყიდვა კვლავ სისხლის სამართლის დანაშაულია. კანონმდებლობა სხვადასხვა ქვეყნებში იცვლება, ისევე როგორც მცირე რაოდენობის კანაფის განმარტება. ვაშნგტონის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლიდან ჩანს, რომ იმ ქვეყნებში, რომლებმაც კანაფის დეკრიმინალიზაცია აირჩიეს, არ ზრდის მოხმარებას ახალგაზრდებში. მაგრამ ასევე შემცირებულია კანაფთან დაკავშირებული დაპატიმრების რიცხვი. მოცემულ სტატიას თან ახალავს დეკრიმინალიზაციის პოზიტიური შედეგები რაც გამიხატა შემდეგში: საშუალოდ ნაკლებია, ვიდრე 75% 21 წლამდე ასაკის პირთა დაკავების ფაქტები, კანაფთან დაკავშირებული ნებისმიერ საქმიანობისთვის. ასევე შემცირებულია მოხმარება 20% ახალგაზრდებისთვის. კანაფის დაკავების ეს უარყოფითი შედეგები არის ძირითადი მიზეზი მთელი რიგი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციების, მათ შორის ამერიკის პედიატრების ასოციაციისა. ამ ორგანიზაციებმა გამოხატეს კანაფის დეკრიმინალიზაციის მხარდაჭერა, თუმცა ისინი კვლავ ეწინააღმდეგებიან ლეგალიზაციას. პროფესორ გრუცას თქმით, ჯერ ადრეა იმის ცოდნა, თუ როგორ იმოქმედებს ლეგალიზაცია იმ ქვეყნებზე, სადაც კანაფი გახდა ლეგალური. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ დეკრიმინალიზაცია არის ღონისძიება, რომელიც მხოლოდ იმ ქვეყნებისთის შეიძლება სასარგებლო იყოს, რომელთაც არ სურთ კანაფის მოხმარების წახალისება. მაგრამ ასევე,

ქვეყნებს, რომელთაც არ სურთ განაგრძონ მოქალაქეების დასჯა, რომლებიც მცირე რაოდენბით ფლობენ საკუთარი მიზნებისათვის.[35]

ლეგალიზაციიდან ერთი წლის შემდეგ აშშ-ს კოლორადოს შტატში მარიხუანას შენახვისთის ათიათასობით ადამიანი არ დაუკავებით, ამავე შტატმა დაახლოებით 40 მილიონი საგადასახადო შემოსავალი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტისათვის და 8 მილიონი გადადო მოზარდების განათლებასა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ღონისძიებისათვის. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია ნარკოპოლიტიკის ალიანსი თავის ანგარიშის მიხედვით გვაწვდის ასევე უმნიშვნელოვანეს ფაქტებს: დანაშაულის კლება, სატრანსპორტო შემთხვევათა კლება, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, სამუშაო ადგილების ზრდა და ეს ყველაფერი ხდება 2014 წლის 1 იანვრიდან, მას შემდეგ რაც კოლორადოში პირველი მარიხუანის მაღაზიები გაიხსნა.

პირველად ისტორიაში 2012 წლის 6 ნოემბერს ორმა აშშ-ს შტატმა: კოლორადო და ვაშინგტონმა განახორციელა მარიხუანას მოხმარებისა და გაყიდვის ლეგალიზაცია, მათ მიყვნენ ასევე სხვა შტატებიც, რომლებიცაა ორეგონა, ალასკა და აშშ-ს დედაქალაქი ვაშნგტონი (კოლუმბიის ოლქი). ამის შემდგომ ერთი წელი დაჭირდა საკანონმდებლო დონეზე ლეგალიზაციის მოწესრიგებას და ახლა ჩვენ მომსწრე ვართ წარმატებული ისტორიების არამარტო კოლორადოს შტატიდან. სხვა შტატების მოსახლეობასაც უნდა და ცდილობს მარიხუანას ლეგალიზაციას, ამავე წელს მარიხუანას სრული ლეგალიზაცია განხორციელდა ურუგვაიშიც, მის პრეზიდენტს ხოსე მუხიკას ნობელის მშვიდობის პრემიაც მისცეს, რომელიც მარიხუანაზე საუბრობდა, როგორც მშვიდობის და ურთიერთგაგების საშუალებაზე.

წარმოდგენილი ანგარიშეიდან შესაძლებელია გამოიყოს ყველაზე საინტერესო ფაქტები და ციფრები: დანაშულის შემცირება, ძარცვა კოლორადოს შტატში შემცირდა 9.5%-ით, და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული 8,9%-ით. ბიუჯეტის შემოსავლები 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის ოქტომბრამდე მარიხუანას მაღაზიებიდან მიღებულმა შემოსავალმა 40,9 მილიონ დოლარს მიაღწია (მოცემულ ციფრში არ შედის ლიცენზიის და სხვა გადასახადის და სამედიცინო მარიხუანისგან მიღებული შემოსავალი). საგზაო შემთხვევათა შემცირება, მარიხუანის ლეგალიზაციის მოწინააღმდეგების არგუმენტები, რომ ლეგალიზაცია გამოიწვევდა ფატალურ საგზაო შემთხვევათა ზრდას, პირიქით საწინააღმდეგო რამ მოხდა: 2014 წლის 11 თვის

[35] კანაფის დეკრიმინალიზაცია: აშშ-ში ბოლო პოლიტიკის ცვლილების შესწავლა. [https://ka.cannabis-mag.com/decriminalisation-consommation-jeunes/#decriminalisation-du-cannabis-etude-du-changement-de-politique-recent-dans-5-etats-americains]

განმავლობაში ამ შტატის ფატალურ შემთხვევათა რიცხვი 436 იყო, წინა 2013 წლის 11 თვის 449 შემთხვევასთან შედარებით, ე.ი. 3%-იანი კლებაა. რაც ყველაზე მთავარია მოზარდებისათვის პრევენციული ღონისძიებები ჩატარდა, შტატებმა 8 მილიონი დოლარი გადადეს მარიხუანის მაღაზიებიდან მიღებული შემოსავლებიდან, იმისათის, რომ გატარდეს პრევენციული, საგანმანათლებლო, ფსიქიკური დაავადებების და საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები.[36]

2011 წელს გაეროს-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა ყველასათვის მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მან მკაცრი ნარკოპოლიტიკა დაგმო და აღნიშნა, რომ ნარკოტიკებთან ბრძოლაში დამარცხდა, რადგან არალიბერალურმა პოლიტიკამ ვერ გაამართლა. ,,აკრძალვმ არ შეამცირა არც მოთხოვნა და არც მიწოდება, მსოფლიომ ნარკოტიკებთან ომი წააგო'' გარეოს ყოფილი გენერალური მდივნის სიტყვებმა მსოფლიო ლიდერებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა მალე რამდენიმე ქვეყანამ, გაერო-სგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე ნარკოპოლიტიკა შეცვალა. ამ განცხადების ერთი წლის შემდგომ ხორვატიაში მარიხუანას დეკრიმინალიზაცია, ურუგვაიში კი ლეგალიზაცია მოხდა. რაც შეეხება ურუგვაის აღსანიშნავი ფაქტია, რომ ეს ის ქვეყანაა სადაც 12 წლიანი დიქტატურის პერიოდში ნარკოდანაშაულისათვის მკაცრი სასჯელი დღემდე კარგად ახსოვთ, პრეზიდენტის სახელით ცნობილმა ხოსე მუხიკამ, რომელიც სახელმწიფოს ლიდერად 2010 წელს აირჩიეს, ურუგვაის ნარკოპოლიტიკა რადიკალურად შეცვალა. სტატისტიკის მიხედვით ლიბერალურმა მიდგომამ ნარკოდილერების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა, შესაბამისად იკლო გადაჭარბებული დოზის მიღებით გამოწვეული ფატალური შემთხვევების რიცხვმაც.[37]

მსოფლიოს პირველი ქვეყანა სადაც, ნარკოდამოკიდებულთათვის სპეციალური თავშესაფრები გაიხსნა შვეიცარიაა. 1986 წლიდან შვეიცარიამ ნარკოდანაშულთან საბრძოლველად იმ ეპოქის სრულიად ახალი სტრატეგია დასახა, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია, რომელმაც ზუსტად 20 წლის შემდგომ მოულოდნელი შედეგი გამოიღო, სწორედ ამ პოლიტიკის შედეგად, სტატისტიკის მიხედვით, შვეიცარიაში ნარკოდამოკიდებულთა რიცხვი სამჯერ შემცირდა. 2013 წელს შვეიცარიამ მარიხუანას დეკრიმინალიზაცია მოახდინა. სწორედ მაშინ აღნიშნა შვეიცარიის პრეზიდენტმა როგორც ჯანდაცვის, ასევე სამართლებრივ

[36] ,,ლეგალიზაციიდან ერთი წლის შემდეგ აშშ-ს კოლორადოს შტატის წარმატება'' ლ.ჯორბენაძე. 2015 წ. [http://www.drugpolicy.dsl.ge/news.htm?fbclid=IwAR3Cjv-OJR5Zm2HQ9CjpTWaxcFyp9cgESfmOfGUtqZOr-E8_R8vXCGWzxcs]

[37] ,,ყველაზე ლიბერალური ნარკოპოლიტიკის 10 ქვეყანა''. ქ.თუთბერიძე. 2018წ. [https://1tv.ge/news/yvelaze-liberaluri-narkopolitikis-10-qveyana/]

სფეროში ნარკომანიის მიმართ შეცვლილ პოლიტიკას შვეიცარიაში იმდენად დადებითი შედეგი ახლავს თან, რომ ეს მოდელი მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითო უნდა იყოს.[38]

ლიბელარურ ნარკოპოლიტიკასთან ევროპელების ცნობიერებაში მაინც ნიდერლანდების სამეფო და ამსტერდამის ქუჩები ასოცირდება, ნიდერლანდებში მსუბუქი ნარკოტიკული საშალების (მარიხუანა და ჰაშიში) შეძენა სრულწლოვნისათვის კანონის ფარგლებშია შესაძლებელი, თუმცა მძიმე ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის სასჯელი 12-დან 16 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ასევე აღსანიშნავია, რომ მარიხუანის მოხმარება ამსტერდამის მხოლოდ იმ ნაწილშია შესაძლებელი, სადაც გამაფრთხილებელი წითელი აბრა არ კიდია. აკრძალულ ადგილას მსუბუქი ნარკოტიკის საჯაროდ მიღება 50 ევროს ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს. 2017 წლის მონაცემებით, მსუბუქ ნარკოტიკებს ნიდერლანდების მოსახლეობის 16% მოიხმარს, კოკაინს და სხვა მძიმე ნარკოტიკულ საშალებას კი 3,1%.[39]

ევროპის ქვეყნებს შორის ლიბერალური ნარკოპოლიტიკით გამოირჩევა პორტუგალიაც. მსუბუქი ნარკოტიკული საშალებების დეკრიმინალიზაციის შემდეგ, ჰეროინზე დამოკიდებულთა მაღალი მაჩვენებელი წარსულს ჩაბარდა. პორტუგალიის მთავრობამ მცენარე მარიხუანის დეკრიმინალიზაცია 2001 წელს მოახდინა, ამან გამოიწვია ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.[40] დეკრიმინალიზაციის შემდეგ, პორტუგალიაში გავრცელების მაჩვენებლები შემცირდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. 7-9 კლასის მოსწავლეებში პრევალენტობის მაჩვენებელი შემცირდა 14,1%-დან 10,6%-მდე, 10-12 კლასის მოსწავლეებში 27,6%-დან 21,6%-მდე, ამ იგივე ჯგუფებისათვის დეკრიმინალიზაციის შემდეგ ფსიქოაქტიური ნივთიერებების პრევალენტობაც შემცირდა.[41] სამედიცინო მიზნებისათის მარიხუანას მოხმარება ნებადართულია ამერიკის 23 შტატში, სადაც კანაბისის შეძენა აფთიაქშიც შესაძლებლია, 2016 წლის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში 22 მილიონი ადამიანი მარიხუანას მომხმარებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ 5 გრამზე მეტი LSD-ს ან კოკაინის შეძენა-შენახვა ფედერალური კანონით ისჯება და ორიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პორტუგალიაში დეკრიმინალიზაციის მოწინააღმდეგეთა მიერ გამოთქმული არცერთი შიში არ გამართლებულა, ხოლო ბევრი სარგებელი მოიტანა რომელსაც პორტუგალიელი

---

[38] იქვე, [https://1tv.ge/news/yvelaze-liberaluri-narkopolitikis-10-qveyana/]
[39] იქვე, [https://1tv.ge/news/yvelaze-liberaluri-narkopolitikis-10-qveyana/]
[40] იქვე, [https://1tv.ge/news/yvelaze-liberaluri-narkopolitikis-10-qveyana/]
[41]''Декриминализация наркотиков в Португалии'' Г.Гринвольд [https://old.inliberty.ru/library/337-dekriminashylizaciya-narkotikov-v-portugalii]

ნარკოტიკების კონტროლის პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ დეკრიმინალიზაციის რეჟიმის დამყარება უნდა ყოფილიყო მიღწეული. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკების მოხმარება, დამოკიდებულება და მასთან დაკავშრებული პათოლოგიები ბევრ ქვეყანაში ძალიან მაღალ დონეზე რჩება, პორტუგალიაში 2001 წლიდან მოყოლებული ამ პრობლემების ინტენსივობა, პრაქტიკულად, ყველა შესაბამის კატეგორიაში, ან შეიზღუდა ან მნიშვნელოვნად შემცირდა. მოქალაქეების განთავისუფლებით სისხლისსამართლებრივი დევნისა და პატიმრობის შეფარდებისგან, პორტუგალიამ შეძლო ნარკომანიის უფრო ეფექტურად წარმართვა მკურნალობის გზაზე. ადრე ნარკომანიის დევნისა და პატიმრობისათვის განკუთვნილი რესურსები ახლა ნარკომანიის სამკურნალო პროგრამებშია გამოყოფილი. ამ სახის განვითარებამ, პორტუგალიაში ზიანის შემცირების მიდგომის გამოყენებასთან ერთად, გააუმჯობესა ნარკოტიკებთან დაკავშრებული სოციუალური დაავადებების მოგვარება, მათ შრის ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილიანობა და ნარკოტიკული სახის დაავადებები. პორტუგალიელები დარწმუნდნენ დეკრიმინალიზაციის სარგებელში, ამიტომ არცერთი პოლიტიკური ძალა არ ითხოვს კრიმინალიზაციის ჩარჩოებში დაბრუნებას. მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ნარკოტიკების კონტროლის პოლიტიკაზე, თითქმის ერთხმად მიიჩნევენ, რომ დეკრიმინალიზაციამ შექმნა ბევრად უფრო ეფექტური მიდგომა ნარკომანიასა და მასთან დაკავშრბეული სოციალური პრობლემეის საქმეში. მას შემდეგ რაც არსებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ისინი სწორია, პორტუგალიის მოდელი ყურადღებით უნდა შეისწავლოს მთელმა მსოფლიომ.[42]

ყველაზე ლიბერალური ნარკოპოლიტიკის მქონე ქვეყნების ათეული კი ასე გამოიყურება: 1)ნიდერლანდები, 2)პორტუგალია, 3)ურუგვაი, 4)ჩეხეთი, 5)შვეიცარია, 6)აშშ, 7)არგენტინა, 8)მექსიკა, 9)ეკვადორი, 10)ხორვატია.[43]

ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკაში ნარკოტიკების კონტროლის დიდი განსხვავების მიუხედავად, ევროკავშირში რამდენიმე აშკარად თვალსაჩინო ტენდენცია გამოიკვეთა, რაც შეეხება, უპირველეს ყოვლისა, იმას, თუ როგორ უნდა განმარტოს კანონი ნარკოტიკების გამოყენებას პირადი მიზნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა ამას აღიქვამს როგორც კრიმინალს, მრავალი სხვა ქვეყანა სულ უფრო მეტად ემხრობა

[42] „Декриминализация наркотиков в Португалии" Г.Гринвольд. [https://old.inliberty.ru/library/337-dekriminashylizaciya-narkotikov-v-portugalii]

[43] „ყველაზე ლიბერალური ნარკოპოლიტიკის 10 ქვეყანა". ქეთი თუთბერიძე. 2018წ. [https://1tv.ge/news/yvelaze-liberaluri-narkopolitikis-10-qveyana/]

ჯანმრთელობაზე ორიენტირებულ მიდგომას და ნარკოტიკების პერსონალურ გამოყენებას განიხილავს როგორც სამედიცინო, ვიდრე სისხლის სამართლის საკითხს.[44]

[44] „Декриминализация наркотиков в Португалии'' Г.Гринвольд. [https://old.inliberty.ru/library/337-dekriminashylizaciya-narkotikov-v-portugalii]

თავი III „ნარკოპოლიტიკის სამართლებრივი შედარებითი ანალიზი” 3.1. უარყოფითი მხარეები

ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება იწვევს მასზე დამოკიდებულებას, ჯანმრთელობის გაუარესებას, ასევე შესაძლოა ნარკოტიკების მოხმარება გახდეს სხვა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზეზი რაც ხელს უშლის პიროვნების განვითარებას და მას მოსდევს მთელი რიგი პრობლემები. არსებობს მოსაზრებები ნარკოტიკების პრევენციის მიზნით, რომ მკაცრი ნარკოპოლიტიკა გამართლებულია და პირიქით, რაც უფრო ლიბერალურია ნარკოპოლიტიკა, მით უფრო მართვადი ხდება ის სახელმწიფოსათვის.

საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ყველა, ვინც ნარკოტიკულ ნივთიერებას იღებს მკვდარი აღმოჩნდება. სხვები ფიქრობენ, რომ ნარკოტიკების მოხმარება სულაც არ არის საშიში. სიმართლე სადღაც შუალედშია, ნარკოტიკული ნივთიერების მიღება ვერასდროს ვერ იქნება უსაფრთხო, მაგრამ ყოველთვის არ არის ისეთი საშიშ, როგორიც საზოგადოებას მიაჩნია. ნარკოტიკების მოხმარების საშიშროება დამოკიდებულია ნარკოტიკების დოზაზე და გარემო ფაქტორებზე. ზოგიერთ პრეპარატს როგორიც არის: ალკოჰოლი, ჰეროინი და ტრანკვილიზატორი აქვს დამამშვიდებელი მოქმედება, რომელიც ანელებს ორგანიზმსა და ტვინის მუშაობას. ასევე შეიძლება მათ ჰქონდეთ დაბუჟების ეფექტი, რომელიც იწვევს ძილიანობას. სხვა პრეპარატებს მაგალითად: ამფეტამინს, კოკაინს, კრეკსა და ექსტაზს გააჩნიათ მასტიმულირებელი ეფექტი, რაც ენერგიის მოზღვავებას იწვევს და მომხმარებელს მეტად ფხიზლად ხდის. რაც შეეხება ნარკოტიკების მესამე ჯგუფს როგორიც არის LSD და ჯადოსნური სოკო, აქვს ჰალუცინოგენური ეფექტი. ეს ნიშნავს, რომ ისინი ცდილობენ შეცვალონ მომხმარებლის შეგრძნება, დანახვა, მოსმენა, გემოვნება ან სუნი. დამამშვიდბელი პრეპარატებს შეუძლია გამოიწვიოს ფატალური დოზის გადაჭარბება, ასევე გავლენას ახდენს კოორდინაციაზე, რაც უბედური შემთხვევების ალბათობას იწვევს. დამამშვიდებელი საშუალებების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური დამოკიდებულება, რაც კანაფს არ შეუძლია. მასტიმულირებელ პრეპარატებს შეუძლიათ შფოთვა ან პანიკის შეტევები, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მიღების შემთვევაში. ეს პრეპარატები განსაკუთრებით საშიშა მათთვის ვისაც აქვს გულის ან არტერიული წნევის პრობლემები. რაც შეეხება ჰალუცინოგენურ პრეპარატებს, ის ზოგჯერ ძალიან შემაშფოთებელ გამოცდილებას იწვევს და შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის მხრიდან არაწესიერი ან საშიში ქცევა.

ნარკომანიის საშიშროება ასევე დამოკიდებულია: მიღებულ ოდენობაზე, რაც უფრო მეტია დოზირება მით მეტ საშიშროებას წარმოადგენს. დამამშვიდებელი პრეპარატის ზედოზირების შემთხვევაში შესაძლოა ფატალურ შემთხვევამდე მივიდეს მომხმარებელი, მასტიმულირებელი პრეპარატის დიდი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს პანიკის შეტევა, გულის პრობლემები ან უკიდურეს შემთვევაში ფსიქოზური ქცევა სადაც რეალობის აღქმა და მთელი გრძნობა დაკარგულია.

რამდენად ხშირად ხდება ამა თუ იმ პრეპარატის მიღება. რაც უფრო ხშირად მიიღება პრეპარატი, მით უფრო დიდია ჯანმრთელობის რისკები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სხეულს არ ჰქონდა დრო გამოჯანმრთელებისათვის. ზოგიერთ მედიკამენტთან ერთად შეიძლბა შეიქმნას ტოლერანტობა და მეტი უნდა იქნეს მიღებული რათა სასურველი ეფექტი მიიღოს მომხმარებელმა. თუ მძიმეა პრეპარატი, მის ხშირ მოხმარებას მოჰყვება ტოლერანტობის დონის ვარდნა. ტოლერანტობის მაღალი დონის მქონე იმავე რაოდენობის პრეპარატის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს დოზის გადაჭარბება. არსებობს პრეპარატები რომლებიც არ ქმნის ტოლერანტობას მაგალითად LSD თუ ამ ნარკოტიკულ საშუალებას ძალიან ხშირად იღებს მომხმარებელი, ის უბრალოდ წყვეტს ეფექტიანობას და რამდენიც არ უნდა იქნას მიღებული არანაირი ეფექტი არ ექნება.

ნარკომანიის საფრთხე ასევე განსხვავდება მისი მიღების მეთოდით. ინექცია განსაკუთრებით სარისკოა, რადგან ძნელია იმის ცოდნა, თუ რამდენს იღებს მომხმარებელი. ინექცია ასევე შეიცავს სისხლით გამოწვეული დაავადებებით დაინფიცირების რისკს, თუკი რა თქმა უნდა ინექციური მოწყობილობა გაზიარებულია. ყველაზე მაღალი პროფილი მინიჭებული აქვს აივ ვირუსს, რომელიც იწვევს შიდსს, მაგრამ ასევე არსებობს B და C ჰეპატიტის წარმოქმნის რისკები. მნიშვნელოვანია მომხმარებლის გამოცდილება და მოლოდინი, ბევრი ახალგაზრდა, ვინც პირველად ატარებს ექსპერიმენტებს, არ არის დარწმუნებული იმაში თუ რა უნდა გააკეთოს ან რას უნდა ელოდოს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების შედეგად. ამასთან ერთად დიდ როლს თამაშობს მომხმარებლის ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ადამიანის განწყობა, როდესაც ის იღებს ნარკოტიკს, გავლენას ახდენს მის ზემოქმედებაზე და შესაძლო საფრთხეებზე.

ყოველივე ამასთან ერთად, იმ ადგილას, სადაც ადამიანები მოიხმარენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს შეიძლება გავლენა მოახდინოს მის საშიშროებაზე, მაგალითად: ზოგიერთი ახალგაზრდა იღებს ნარკოტიკებს გარეუბანში, სანაპიროზე, მიტოვებულ შენობებში და ა.შ, ამ

შემთხვევებში რისკი უბედური შემთხვევებისა მეტად მაღალია, განსაკუთრებით მაშინ თუ მომხმარებელი ინტოქსიკაციაშია. მაშინაც კი თუ გარემო საშიში არ არის, შეიძლება გამოყენებულ ადგილთან დაკავშირებული იყოს სხვა სახის რისკები. სკოლაში ნარკოტიკის გამოყენებას გამოუწვევია ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის გარიცხვა, რამაც მკვეთრი გავლენა მოახდინა მათ მომავალ კარიერაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ავტომობილის ან სხვა ნებისმიერი გადაადგილების საშუალების მართვა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მნიშვნელოვნად ზრდის ავარიების რისკს.

მრავალი შესაძლო რისკი და საფრთხე ემუქრება ნარკოტიკების მომხმარებელს მისი მოხმარბეის დროს. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ნარკოტიკების მოხმარების პრობლემები სხვა ადამიანის აღქმისა და მათზე რეაგირების გამო, მაგალითად: კონფლიქტი ოჯახში, სხვა პირად ურთიერთობებში, სკოლიდან, კოლეჯიდან ან სამსახურიდან გარიყვა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვა მეტად უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა.[45]

ნარკობიზნესი ერთ-ერთი ყველზე შემოსავლიანი ბიზნესია, უამრავ ქვეყანაში კი ნარკოპოლიტიკა ძალიან მკაცრია, მაგალითად: სინგაპურში ნარკოტიკების კონტრაბანდა ჩამოხრჩობით ისჯება, 1991 წლის შემდეგ 400-ზე მეტ ადამიანს მიუსაჯეს სიკვდილი. ირანის სტატისტიკა კი გაცილებით უფრო მეტ მსხვერპლს მოიცავს, ყოველწლიურად ნარკოდანაშაულის გამო დაახლოებით ასობით ადამიანს უსჯიან სიკვდილს.[46]

Harm reduction international აკვირდებოდა მსოფლიოში სიკვდილით დასჯის გამოყენებას ნარკოდანაშაულისათვის 2007 წლიდან, ამ თემაზე განაგრძობს მუშაობას საკანონმდებლო, პოლიტიკისა და პრაქტიკის რეგულარული განახლების შესახებ. ნარკოდანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის გამოყენებასთან დაკავშირებული მოვლენები, საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა.

წარმოგიდგენთ სიკვდილით დასჯის 2020 წლის გლობალურ მიმოხილვას: 2020 წელს დაფიქსირდა 30 სიკვდილით დასჯა ნარკო დანაშაულისათვის, 2019 წლის მდგომარეობასთან მიმართებით 116-ით ნაკლები სიკვდილმისჯილია. ყველა სიკვდილით დასჯა მოხდა მხოლოდ 3 ქვეყანაში (ჩინეთი, ირანი და საუდის არაბეთი). 35 ქვეყანა კვლავ ინარჩუნებს სიკვდილით დასჯას ნარკოდანაშაულისათვის. ამჟამად მსოფლიოში სულ მცირე 3000 ადამიანი იმყოფება

[45] What are the dangers from using drugs? Harry Shapiro 2017. [https://www.drugwise.org.uk/what-are-the-dangers-from-using-drugs/]

[46] ,,რომელ ქვეყნებშია ნარკოპოლიტიკა ყველაზე მკაცრი?'' [https://agora.ge/new/22219-romel-qveynebshia-narkopolitika-yvelaze-mkacri] 2018წ.

სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში რაც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. მარტო ვიეტნამში იყო 2020 წელს ნარკოდანაშაულისათვის დადასტურებული სიკვდილით დასჯის მესამედზე მეტი. ამავე წლის ოქტომბრის მონაცემებით, ინდონეზიაში სიკვდილით დასჯილი 355 ადამიანი იყო რომელთაგან 214 ნასამართლევი იყო ნარკოდანაშაულისათვის. ზემოთ მოხსენიებულ ქვეყნებთან შედარებით სინგაპურში სიკვდილით დასჯა პირველად 2013 წლის შემდეგ არ განხორციელებულა. ნარკოდანაშაულისათის სიკვდილით დასჯის შესახებ მონაცემები უკიდურესად არასაკმარისია, რაც ნაწილობრივ განპირობებულია ჩინეთში და ვიეტნამში სიკვდილითდასჯის ინფორმაციის ნაკლებობით. 2020 წელს დადასტურდა 30 სიკვდილით დასჯა ნარკოდანაშაულისათვის რაც ნიშნავს, რომ 75%-ით შემცირდა 2019 წლიდან. მოცემული ინფორმაცია არასრულია, ჩინეთსა და ვიეტნამში სიკვდილით დასჯის შსახებ ინფორმაციის სიმცირის გამო, ამის მიუხედავად შემცირება მნიშვნელოვანია. ნაადრევია საბოლოოდ გამოვიტანოთ დასკვნა, ეს არის გრძელვადიანი ტენდენციის დასაწყისი, ან განსაკუთრებული წლის შედეგი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიულად დაბალი მაჩვენებელი მისასალმებელია, სიკვდილით დასჯის რაოდენობის შემცირება თავისთავად არ წარმოადგენს პრობლემის მოგვარებას და არც ის უნდა განიხილებოდეს, როგორც მთავარი მიზანი ნარკოდანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. სიკვდილით დასჯა ბევრად უფრო პრობლემური სისტემის ყველაზე თვალსაჩინო ნაწილია, რომელსაც ახასიათებს სამართლიანი სასამართლოს დარღვევები, არაადამიანური მოპყრობა და ნარკოტიკების უკიდურესი არაპროპორციული და სადამსჯელო მიდგომები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მრავალ მსჯავრდებულსა და სიკვდილით დასჯაზე, ეს აშკარად ჩანს ტაილანდის, ლაოსის და შრი-ლანკის ქვეყნების დათვალიერებისას, სადაც პირები ბოლო დროს არ აღსრულებულან ნარკოდანაშულისათვის, მაგრამ სიკვდილის დასჯას განაგრძობენ, რის შედეგადაც ასობით ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. სამწუხაროდ ასეთ ქვეყნებს მცირე ყურადღება ექცევა.[47]

სიკვდილით დასჯა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო დაუშვებელია და არ ემსახურება მის პრევენციას. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და განახორციელოს ისეთი ქმედება რაც მომხმარებლის საუკეთესო ინტერესებს წარმოადგენს. შესაძლებელია შექმნას ისეთი დაწესებულებები სადაც მკურნალობას გაუწევენ ნარკომომხმარებლებს.

[47] Death penalty for drug offences: Global overwiev 2020. [https://www.hri.global/death-penalty-2020]

ნარკოპოლიტიკა ეს ის თემაა რომელიც საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი გახდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში ორი სხვადასხვა აზრი არსებობს, ზოგი მხარს უჭერს კანონის შემსუბუქებას, ზოგს მიაჩნია რომ ეს კიდევ უფრო მეტ ზიანს მოუტანს ქვეყანას. საკანონმდებლო ორგანოში აქტიურად მიდის მუშაობა ამ საკითხზე, რადგან სამომალოდ სწორი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.

გაეროს მონაცემების მიხედვით მსოფლიოში 250 მილიონი ადამიანი მოიხმარს არალეგალურ ნარკოტიკულ ნივთიერებას, ანუ ყოველი 30-ე ადამიანი ნარკომანად მოიაზრება, ნარკომომხმარებლების მაღალი სიკვდილიანობის, დანაშაულის რაოდენობის, რომლებიც დაკავშრებულია ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასთან, ან არალეგალურ ბრუნვასთან, შესაძლოა მტკიცედ იქნეს განცხადებული, რომ ნარკოტიკებთან ბრძოლა ყველა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი დავალებაა.

ნარკოტიკებთან ბრძოლის არაერთი ხერხი არსებობს, რომლების უმრავლესობა ძალადობრივი მეთოდის გამოყენებისკენ არის მიმართული. თუმცა ექსპერტთა შეფასებით, ასეთ პრაქტიკას სასურველ რეზულტატამდე ვერ მივყავართ. მსგავსი მცდელობების მიუხედავად, ნარკომანების რიცხვი და ნარკოტიკების ბრუნვა არ მცირდება, პირიქით ზრდას განაგრძობს. ოპიუმის შემადგენელი ნივთიერებების მომხმარებლების რიცხვი მსფოლიოს მასშტაბით 1998 წლიდან 2008 წლამდე 35%-ით გაიზარდა, კოკაინის 27%-ით მარიხუანის კი 8,5%-ით. გაეროს ანგარიშში პირდაპირ არის მოხსენიებული, რომ მსოფლიო ომი ნარკოვაჭრობასთან წაგებულია.[48]

3.2 დადებითი მხარეები

საზოგადოება ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას სხვადასხვა შეხედულებებით აფასებს, ზოგი ფიქრობს, რომ ნარკომანია ეს სენია რომელიც კაცობრიობას გაანადგურებს, მათთვის არ არსებობს მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკული საშუალებები. გარკვეული ნაწილი კი ფიქრობს, რომ მსუბუქი ნარკოტიკების მიმართ უნდა იყოს ლიბერალური დამოკიდებულება, როგორც საზოგადოების მხრიდან, ასევე სახელმწიფოც უნდა ცდილობდეს სანქციების

[48]ნარკოპოლიტიკა საქართველოში - მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, 2016, [http://mediamall.ge/new/26519-narkopolitika-saqartveloshi--misi-dadebiti-da-uaryofiti-mkhareebi]

შემსუბუქებას. მძიმე ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ, ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა იქნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი, ვინაიდან განსაკუთრებულ დიდ ზიანს აყენებს როგორც მომხმარებლების ჯანმრთელობას ასევე საზოგადოებას.

ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ ყოველ შემსუბუქებულ თუ გამკაცრებულ სანქციებს, თან ახლავს კონკრეტული შედეგები, როგორც უარყოფითი ასევე დადებითი. მოცემულ შემთხვევაში მინდა განვიხილო მსუბუქი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის კანაფის (მარიხუანას) ლიბერალიზაციის შემდგომ განვითარებული მოვლენები, რაც დადებითად აისახა როგორც მედიცინაზე, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით და ნარკოტიკული დანაშაულის შემცირებით.

მარიხუანა მცენარე კანაფის გამომშრალი ფოთლების, ყლორტების, ყვავილებისა და თესლის ნარევია, რომელიც ბევრ აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. კანაფისგან შესაძლებელია ჰაშიშის მიღებაც, რაც საქართველოში ძალიან იშვიათად ხვდება, მასში ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა დაახლოებით 40% აღწევს, მაშინ როცა ბუნებრივ, არასელექტირებულ კანაფში ის სულ რაღაც 0,5-5%-ია, თუმცა ბოლო დროის განმავლობაში შეიქმნა ჰიბიდული ჯიშები რომლის ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა 15-20% აღწევს. ჩვენს ქვეყანაში კანაფი ბუნებრივადაც იზრდება, მაგრამ ნარკოტიკული ნივთიერების კონცენტრაცია მასში ძალიან დაბალია, რაც შეეხება ჯიშების ჰიბრიდიზაციას ეს ხდება ძირითადად იმ ქვეყნებში სადაც ე.წ. ,,კოფი შოპებში'' ის თავისუფლად იყიდება.

მედიცინის კუთხით კანაფს სასარგებლო თვისებებიც აქვს, როგორც აღვნიშნეთ კანაფი არაერთ აქტიურ ნივთიერებას შეიცავს, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა მხოლოდ ორი მათგანი: დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლი, რომელსაც ნარკოტიკული ზემოქმედება ახასიათებს და არანარკოტიკული კანაბიდიოლი. ტეტრაჰიდროკანაბინოლი იწვევს ეიფორიას, ამაღლებს განწყობას, მას ეფექტურად იყენებენ ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლების დროს, განსაკუთრებით გულისრევისა და ღებინების შესამცირებლად. არაერთი კვლევა გადმოგვცემს, რომ ტეტრაჰიდროკანაბინოლი და სხვა კანაბინოიდები მადას ასტიმულირებს, ამიტომაც არის რეკომენდირებული მათი გამოყენება შიდსის თანმხლები ანორექსიის სამკურნალოდ. ამასთან ერთად დადასტურებულია მისი დადებითი ეფექტი დეპრესიისა და აპათიის დროს. კანაფის კომპონენტების სამკურნალო მიზნით გამოყენება შედეგიანია გლაუკომის ზოგიერთი ფორმის, მრავლობითი სკლეროზისა და სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების დროსაც. ყოველივე ამასთან ერთად ივარაუდება, რომ კანაფს მომავალში სხვა ნარკოტიკულ ფსიქოტროპულ

ნივთიერებებზე დამოკიდებულების სამკურნალოდაც გამოიყენებენ. კანაბიდიოლი ასევე პერსპექტიულად მიიჩნევა ბავშვთა ეპილეფსიის, დეპრესიის, ნევროზული რეესტრის დარღვევათა მკურნალობის კუთხით. ექსპერტ-მედიკოსები აქტიურად მუშაობენ კანაფის ე.წ. სამედიცინო ჯიშების სელექციაზე, რომლებშიც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ნარკოტიკული ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა, ხოლო არანარკოტიკული ინგრედიენტების კანაბინოლის კი გაზრდილი. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამედიცინო მარიხუანის მოხმარების არსი ის არის, რომ მომხმარებელმა (პაციენტი) ის დოზირებულად, ექიმის კონტროლით უნდა მიიღოს და მისი მავნე ეფექტები მაქსიმალურად აიცილოს თავიდან. როგორც სხვა სახის ნარკოტიკები მარიხუანაც იწვევს დამოკიდებულებას, განსაკუთრბეით მას შემდეგ რაც ჰიბრიდული ჯიშები მასობრივად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. მარიხუანაზე დამოკიდებულება უფრო ნელა ყალიბდება ვიდრე სხვა ნარკოტიკული საშუალებების მიმართ, მაგალითად: მორფიუმის ან ჰეროინის სისტემატიური მოხმარებისას დაახლოებით ორი კვირის თავზე უკვე აღკვეთის ნიშნები იჩენს თავს, მარიხუანით კი ამ მდგომარეობამდე მისასვლელად წლებია საჭირო, რა თქმა უნდა ეს დამოკიდბეულია ადამიანის ორგანიზმზე, მის ფსიქიკაზე, მოხმარების სიხშირეზე და სხვა.[49]

მეცნიერებისა და მედიცინის ეროვნულმა აკადემიამ მარიხუანას მოხმარების დადებითი და უარყოფითი მხარეები შეაჯამა. პუბლიკაციაში დეტალურად არის ასახული და განხილული მარიხუანას კავშირი სხვადასხვა სამედიცინო საკითხთან, მთავარი დასკვნა კი იქნა გამოტანილი, რომ მარიხუანას მოხმარებას რეალური სამედიცინო სარგებელის მოტანა შეუძლია, რასაც უამრავლი კვლევაც მოწმობს. კონკრეტულ მოხსენებაზე ჯანმრთელობის საკითხების ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა, რომელსაც ჰარვარდის მკვლევარი და პედიატრი, მერი მაკკომრიკი ხელმძღვანელობდა. ექსპერტბმა აღნიშნეს, რომ ბევრ თვისებასთან ერთად, კანაფინოიდების გამოყენება შესაძლოა ძლიერი ტკივილების გასაყუჩებლად, განსაკუთრებით თუ ის ქრონიკული შემთხვევაა. მარიხუანას მოხმარება სულაც არ იწვევს პირის ღრუს, საყლაპავი მილის თუ ფილტვების კიბოს, თუმცა ამასთან ერთად უნდა აღნიშნოს, რომ მარიხუანას აქტიურად მოხმარებამ ორსულობის დროს შესაძლებელია გამოიწვიოს ნაყოფის წონაში კლება. ამასთან ერთად დადგინდა, რომ რეგულარული მოხმარება იწვევს ადამიანის ფსიქიკის დაზიანებას და შიზოფრენიის დაავადების რისკებსაც კი ზრდის. სტერეოტიპი კი დაინგრა, რომ თითქოს კანაფის მოწევა ვნებდეს თავისტვინის უჯრედებს და იწვევს აზროვნების პროცესის გაუარესებას. როგორც

[49]ჟურნალი ავერსი №166, ,,მარიხუანა მედიცინის თვალთახედვით'' [https://www.aversi.ge/ka/cnobari/2022/marikhuana-medicinis-tvaltakhedvit]

აღმოჩნდა, გონება მხოლოდ მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ და მიღებიდან ცოტა ხნის განმავლობაში არის გაფანტული. ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ მარიხუანის მოწევამ ადამინის გონებრივი შესაძლებლობები დათრგუნოს. მოხსენების მიხედვით, მარიხუანა არ იწვევს უფრო მძიმე ნარკოტიკების მიმართ მოთხოვნილებას, ასე რომ, მარიხუანას ,,კარიბჭის ეფექტი'' უარყოფილია.[50]

როგორც კვლევებიდან ჩანს მედიცინის კუთხით მარიხუანის მოხმარებას ბევრი სასარგებლო თვისება აქვს, აქედან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია ფიქრი იმაზე, რომ მარიხუანას მედიცინაში გამოყენება სრულიად სასარგებლოა და არ მიგვიყვანს სავალალო შედეგებამდე. რა თქმა უნდა ყოველი რისკ ფაქტორი უნდა იქნეს განხილული, რომ სამედიცინო მარიხუანის გამოყენება მოხდეს ისე, რომ არ იყოს საფრთხე არსებული ნივთიერების არასწორი მიმართულებით გავრცელებისა.

აშშ-ში მარიხუანას ლეგალიზაციის მხარდაჭერის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სოციალურ მიზეზებს ასახელებენ, მარიხუანას აკრძალვა მთავრობის მხრიდან უნებართვო შეჭრა არჩევანის ინდივიდუალურ თავისუფლებაში, მარიხუანა არ არის უფრო მავნებელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვიდრე ალკოჰოლი ან თამბაქო, რომლებიც როგორც კანონიერი და ლეგალური ისე გამოიყენება. დანაშაული, როგორც აშშ-ს ისე აშშ-მექსიკის საზღვარზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა მარიხუანას უკანონო გაყიდვისა და შეძენის გამო. ლეგალიზაცია კი ლოგიკურად დაასრულებდა ამგვარი დანაშაულებრივი ქცევის საჭიროებას. რაც შეეხება ფისკალურ მიზეზებს, მარიხუანა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი სოფლის მეურნეობის პროდუქტია. კოლორადოს შემოსავლების დეპარტამენტის თანახმად, ამ სახელმწიფოსათვის მარიხუანას ოთხწლიანი გაყიდვები, რადგან 2014 წელს კანაფის ლეგალიზაცია მოხდა, ახლა 7,6 მილიარდ დოლარს მიაღწია. თუ მარიხუანის ლეგალიზება და რეგულირება მოხდა, ინდუსტრიას შეეძლო ადგილობრივი, სახელმწიფო და ფედერალური მთავრობისათვის ყოვლწლიურად 106,7 მილიარდი დოლარის გამომუშავება. ზოგიერთი შფასებით ნათქვამია, რომ მთავრობა ყოველწლიურად 29 მილიარდ დოლარს ხარჯავს მხოლოდ ნარკომანიის აკრძალვაზე და რომ ეს შესაძლებელია მარიხუანის ლეგალიზაციით.[51]

---

[50]დ.სანაია, ,,მასშტაბურმა კვლევებმა მარიხუანას სამედიცინო სარგებლობა დაადასტურა'', 2017; [https://on.ge/story/6823-მასშტაბურმა-კვლევებმა-მარიხუანას-სამედიცინო-სარგებლიანობა-დაადასტურა]

[51] მარიხუანას ლეგალიზების დადებითი და უარყოფითი მხარეები აშშ-ში. [https://ka.socmedarch.org/pros-and-cons-legalizing-marijuana-3325521-6678]

მარიხუანას საცალო ფასები კოლორადოში, წლის დასაწყისიდან მაღაზიებში მისი ლეგალურად გაყიდვის დაწყებიდან 2-ჯერ გაიზარდა, პირადი მოხმარების მიზნით გასაყიდი მარიხუანას ღირებულება საშუალოდ 400$ შეადგენს. შედარებისათვის, სამკურნალო მიზნებისათვის, ექიმის მიერ გამოწერილი მარიხუანის ფასი საშუალოდ 200$-ია. ფასების ზრდა მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსით არის ახსნილი, როგორც კი ბაზარზე მეტი მაღაზია გამოჩნდება, ფასები შემცირებისაკენ წავა. თავად გამყიდველები კი აცხადებენ, რომ კანაბისი გაძვირდა, რადგან გამყიდველთა ხარჯები გაიზარდა, მათ ესაჭიროებათ სპეციალური ლიცენზიების აღება და ასევე დამეტებითი პერსონალის აყვანა სამსახურში. პირველი სპეციალიზირებული მაღაზიები, სადაც პირადი მოხმარებისათვის მარიხუანის შეძენა არის შესაძლებელი კოლორადოში 2 იანვარს გაიხსნა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ პირველ სავაჭრო დღეს, ნარკოტიკის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა 1 მილიონ დილარს გადააჭარბა. წლის დასაწყისში შტატის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული სავაჭრო ობიექტი იმუშავებს, ხოლო შტატის ხელისუფლებამ სულ 348 მეწარმეს მისცა მარიხუანის წარმოებისა და რელიზაციის ლიცენზია. შტატი ელოდება, რომ წლის ბოლომდე გაყიდვები 578 მილიონ დოლარს გადააჭარბებს და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები კი დაახლოებით 67 მილიონი დოლარი იქნება.[52]

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარიხუანას ლეგალიზაცია მოქმედებს მის საბაზრო ღირებულებაზე, რასაც ეკონომიკურად დიდი სარგებელი მოაქვს ქვეყნისათვის, ასევე აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები ჩაერთვებიან შექმნილ ბიუჯეტურ ბრუნვაში, არამედ ტურისტული ზონები მკვეთრად გაზრდის შემოსავლებს, ვინაიდან მოგეხსენებათ მარიხუანის მომხმარებლების უმეტეს ნაწილს თავიანთ ქვეყნებში არ აქვთ შესაძლებლობა მოიხმარონ მარიხუანა. ეს კი ტურისტების მოსაზიდად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

მარიხუანის ლეგალიზაციის შემდეგ ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლების რაოდენობის კლებაზეც კი შეგვიძლია ვიფიქროთ, ვინაიდან არსებობს კვლევები სადაც მარიხუანას ლეგალიზაციის შემდგომმა პერიოდმა მოახდინა მოზარდი მწეველების რაოდენობის კლება.

[52] ,,ლეგალიზაციის შემდეგ კოლორადოში მარიხუანა 2-ჯერ გაძვირდა'' 2014, [https://agora.ge/new?news_id=4361]

მოგეხსენებათ ამერიკის 50 შტატიდან, რეკრეაციული მარიხუანა ლეგალიზებულია მხოლოდ 10 შტატში და ვაშინგტონში. სამედიცინო მარიხუანას მოხამრება კი კანონით 33 შტატშია დაშვებული. დარჩენილი კი სულ ცოტა 8 შტატია სადაც მის ლეგალიზაციას უახლოეს მომავალში ელიან. მეცნიერებმა შეისწარვლეს ის შტატები, სადაც რეკრეაციული მარიხუანაა ლეგალიზებული, ანუ სადაც მას არა წამლად, არამედ სიამოვნებისთვის, ისევე როგორც ალკოჰოლურ სასმლს, ლეგალურად იღებენ. დღეისათვის შესწავლილია 1.5 მილიონამდე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მონაცემთა ბაზა, რომელიც შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ელექტრონულ სისტემაშია დაცული. 2018 წლის ანალიზმა აჩვენა, რომ იმ შტატების მოზარდებში სადაც მარიხუანა ლეგალიზებულია, მარიხუანას მოხმარებამ 8%-ით იკლო, იგივე მონაცემმა ხშირ მწეველებში 9%-ით იკლო. ხშირ მწეველებში იგულისხმება ადამიანები, რომლებიც თვეში მარიხუანას სულ ცოტა 10-ჯერ მაინც მოიხმარენ. მოცემულმა კვლევამ გააქარწყლა იმ სპეციალისტების წინასწარი ვარაუდი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ლეგალიზაცია მარიხუანას ახალგაზრდა მწეველების რაოდენობას გაზრდიდა. ასევე იყო შტატების დონეზე ჩატარებული კვლევებიც, სადაც ჩანდა, რომ მონაცემები ლეგალიზაციის შემდეგ არ შეცვლილა. მეცნიერების აზრით, მოზარდებში მწეეველების რაოდენობის შემცირების მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ახლა მარიხუანის გამყიდველები აღარ არიან ნარკოდილერები, რომლებიც მას ნებისმიერ ადამიანს აძლევდნენ. ისინი დღეს ჩაანაცვლა ლიცენზირებულმა დაწესებულებებმა, სადაც მარიხუანის მომხმარებელს, ასაკის დამადასტურებელ აიდი ბარათს სთხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პუნქტები ლიცენზიის ჩამორთმევის და დახურვის რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან. ხშირი მარიხუანის მოხმარება მოზარდებში არღვევს სუნთქვისა და თავის ტვინისათვის მნიშვნელოვან პროცესებს, მაშინ როცა მოზარდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პერიოდშია, მარიხუანამ შესაძლოა მას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. მარიხუანის მოწევის გამო თინეიჯერებში 7-ჯერ მეტია ზრდასრულ ასაკში ნარკოტიკზე დამოკიდებულების გაჩენის შანსი.[53]

მოცემული ინფორმაციის შედეგად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ლეგალიზაციის შემდგომ პერიოდს, ასევე შეუძლია მომხმარებელთა რაოდენობის კლება გამოიწვიოს. შესაძლოა ითქვას, რომ თუ პირს მარიხუანის მოხმარება სურს, ის როგორც დეკრიმინალიზაციის პერიოდში ასევე, ლეგალიზაციის დროსაც მოიხმარს და ამ მავნე ჩვევას არ დაანებებს თავს, მაგრამ კვლევის

[53]მ. ქვარცხავა, ,,მარიხუანის ლეგალიზაციის შემდეგ, მოზარდი მწეველების რაოდენობამ იკლო'' 2019, [https://www.amerikiskhma.com/a/galileo-teenage-smoking-decreased-after-legalizing-recreational marijuana/4994268.html]

შედეგად ფაქტია, რომ მოქმედებს კონკრეტული შეზღუდვები, რაც იწვევს მომხმარებელთა რიცხვის მკაფიო

კანაფს არა მხოლოდ ზემოთხსნებული, არამედ სხვა დანიშნულებაც შეიძლება მოვუძებნოთ, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის კულტურა. უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა სხვადასხვა ხალხების მიერ საყოფაცხოვრებო, საკვებ-სანელებელი, თუ სამკურნალო მიზნით. კანაფს იყენებდნენ საქსოვი ბოჭკოს (ქერელის), კულინარიული დანიშნულების თესლებისა და ზეთის მისაღებად. კანაფის ბოჭკოკოსაგან შესაძლებელია დამზადდეს ქაღალდი, ქსოვილი, ხომალდის იალქნები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თოკები და ბაგირები. ინფორმაციისათვის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი ეგზემპლარები დაბეჭდილია კანაფის ქაღალდზე. ასევე ფართოდ გავრცელებული ,,ჯინსის'' ქსოვილიც კი პირველად სწორედ კანაფის ბოჭკოსაგან მიიღეს. რაც შეეხება სამრეწველო დანიშნულების მცენარის აღწერილობის პირველი ჩანაწერები გვხვდება ძვ.წ.აღ 2800 წლით დათარიღებულ ხელნაწერებში. პლინიუს უფროსი კანაფს აღწერს როგორც დასაწნავ, საკვებ და სამკურნალო მცენარეს, რომლის თესლები უებარი საშუალებაა პირუტყვის შეკრულობისას, წვენი კი კურნავს ოტიტსმ ფესვი გამოიყენება როგორც საფენი სახსრების ტკივილისას, ასევე პოდაგრისა და დამწვრობების დროს. რაც შეეხება საქართველოს, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კანაფი ცნობილია როგორც ტრადიციული სანელებელი კულტურა, განსაკუთრებით, სვანეთში. მისგან ხდიდნენ ზეთს. მოხალულ თესლებს ქვიჯაში ნაყავდნენ, საცერში ატარებდნენ და მიღებულ მასას ზეთის მისაღებად ხელით ზელდნენ ან ტომარაში ჭყლეტდნენ. კანაფის ზეთს არომატის მისაცემად უმატებდნენ კერძებს. გარდა ამისა, კანაფის თესლებს საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა, სადღესასწაულო და სარიტუალო დრეებში აცხობდნენ კანაფისგულიან ქადებს, კანაფის მფხლოვანებს და ტრადიციულ საკულტო პურებს ,,გიმბშარ ლუკვნე'' და ,,ღიმიმბაშ ქუთ''. სვანეთში ველური კანაფი დღემდე ატარებს სარიტუალო დატვირთვას. ამასთან ერთად საქართველოში კანაფისგან წნავდნენ თოკებს, ქსოვდნენ ტილოს, ხალხურ მედიცინაში კი იყენებდნენ როგორც ტკივილგამაყუჩებელს, კრუნჩხვებისა და ღებინების საწინააღმდეგო საშუალებას. დღეს კი კანაფის ბუნებრივი ბოჭკო სხვადასხვა სინთეზური წარმოებულებითაა ჩანაცვლებული და სამრეწველო მიზნით მისი მოყვანა თითქმის აღარ ხდება.[54]

[54] ნ.გოცაძე, ,,კანაფი- ქართული ეთნოგრაფიული ყოფის საკულტო და ტრადიციული სანელებელი მცენარე'' 2018, [https://sputnik-georgia.com/reviews/20180209/239238286/kanafi-kanabisi.html]

როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია კანაფი, არა მხოლოდ თრობისა და განსატვირთად გამოიყენება, არამედ მისი გამოყენება შესაძლებელია კულინარიაში, კანაფის ზეთის დამზადებით კულინარიას შეემატება ძველი აღმოჩენა რამაც შესაძლოა კონკრეტულ კერძებს იმდენად დამახასიათებელი გემო შესძინოს, რომ ტრადიციულ-კულტურულ საკვებადაც იქცეს, რაც მეტად საინტერესოს და განსხვავებულ გემოს შესძენს ქართულ კულინარიას. მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ შესაძლებელია ეკოლოგიური კუთხითაც შევხედოთ კანაფს, რომელიც საშუალებას იძლევა ქაღალდის დამზადებაში, ამის გათვალისწინებით გარკვეული რაოდენობის ხე-ტყე გადაურჩება გაჩეხვას. ყოველივე ამასთან ერთად მისი გამოყენება ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვადასხვა ქსოვილების წარმოებაში კანაფს კიდევ შესძენს კონკრეტულ დანიშნულებას და ყოველივე ეს აისახება ეკონომიკური კუთხითაც, რაც დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყნის ბიუჯეტს.

თავი V. კვლევის შედეგები

ნაშრომში არსებულ ძირითად თავებსა და ქვეთავებში, კვლევის პროცესში თითოეულ მათგანს კონკრეტულ შედეგებამდე მივყავართ. პირველ რიგში აღსანიშნავია, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ნარკოპოლიტიკური ვითარება.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი და ამასთან ერთად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არეგულირებს ნარკოტიკულ დანაშაულს. ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რადმენიმე გადაწყვეტილება: 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 ,,ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ''. 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/91701/722/725 ,,ჯამბულ გვიანაძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'' 2017წლის 30 ნოემბრის №1/13/732, ,,გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'' , 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282, ,,ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ''.

მოცემული კვლევის შედეგად მივიღე ნორმებს შორის არსებული კოლიზია, რაც სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებს შორის გვევლინება. კონკრეტულად მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ პირს შეუძლია დათესოს და მოიყვანოს გარკვეული ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე კანაფი, ასევე 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა ჰქონდეს პირადი მოხმარების მიზნისთვის და ამასთან ერთად შეუძლია მისი ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება. ყოველივე ზემოთ ხსენებული ქმედების გამო პირს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი რიგ შეზღუდვებში ადგენს ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირს არ აქვს უფლება თან იქონიოს კანონით გათალისწინებული ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე კანაფი (მარიხუანა) და გადაადგილდებოდეს ერთი პუნქტიდან მეორეში. ამასთან ერთად ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე კანაფის (მარიხუანას) დათესვა, მოყვანა და კულტივირება ისჯება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, და ბოლოს მოცემული

ნარკოტიკული საშუალების მოხმარება შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრებაში, მხეველობაში მაქვს სახლი. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენ ვხვდებით ნორმებს შორის კოლიზიას რაც აღმოფხვრილი უნდა იქნას კანონმდებლების მიერ.

ნაშრომში არსებულ შემგომი კვლევისას, რომელიც ისევ საქართველოს შეეხება, ასახავს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველ მცენარე კანაფთან დაკავშირებულ წარსულში არსებულ კულტურას. რომლის შედეგადაც გამოკვლეულ იქნა, თუ რა კუთხით იყო შესაძლებელი მცენარე კანაფის მოხმარება და ის, რომ მხოლოდ თრობისა და განტვირთვისათვის არ გამოიყენებოდა ის.

რაც შეეხება მძიმე ნარკოტიკულ საშუალებებს, კვლევის შედეგად გამოიხატა, რომ საქართველოში, გაურკვეველ დროსა და ვითარებაში შემოდის მძიმე ნარკოტიკული საშუალებები (სუბოტექსი, კოკაინი, მორფინი) და ამასთან ერთად ე.წ. კლუბური ნარკოტიკები (ექსტაზი, LSD, ამფეტამინი და სხვა.) კვლევის შედეგად დგინდება, რომ მოცემულ ნარკოტიკულ საშუალებებს მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ჰყავს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ არაერთ ნარკოტიკულ ნივთიერებას არ გააჩნია მცირე ოდენობა კანონმდებლობის მიხედვით რაც გულისხმობს იმას, რომ მინიმუმ რა ოდენობაც შესაძლოა ჰქონდეს მომხმარებელს, ეს უკვე განსაკუთრებით დიდ ოდენობას მოიცავს, რასაც მივესალმები რადგან, ასეთი მკაცრი დამოკიდებულება მძიმე ნარკოტიკების მიმართ, ნარკო დანაშაულის პრევენციაში დიდ როლს ასრულებს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო ნარკო მომხმარებლებს უფასოდ სთავაზობს მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროგრამებს, რომლებიც განპირობებულია ჩანაცვლებითი, როგორც მეტადონის ასევე სუბეტექსის თერაპიული პროგრამებით, რათა მათ დაძლიონ ის ე.წ. ,,ლომკა'' და აღარ იყვნენ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულები.

შემდეგ ქვეთავში არსებული კვლევა ემსახურება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული კანონმდებლობის მიხედვით ნარკოპოლიტიკურ ვითარებას. სადაც გამორჩეულია აშშ, შვეიცარია, ნიდერლანდები და პორტუგალია. ეს იმ ქვეყნების სიაა სადაც ნარკო პოლიტიკა მეტად ლოიალურია, აქ იგულისხმება მსუბუქი ნარკოტიკული ნივთიერება კანაფი (მარიხუანა).

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ამ ქვეყნებმა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის კანაფის (მარიხუანას) ლეგალიზაციით მიაღწიეს ისეთ დადებით შედეგებს, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა, სამედიცინო კუთხით განვითარება და ნარკომომხმარებელთა რიცხვის შემცირება. ამ ქვეყნებში კანაფის (მარიხუანას) ლეგალიზაციამ დროთა განმავლობაში

კონკრეტული შედეგი გამოიღო, რაც ქვეყნის ნარკოპოლიტიკაზე დადებითად აისახა. ეს მოცემულია ნაშრომის მე-3 თავის პირველ ქვეთავში სადაც ასახულია ნარკოპოლიტიკის სამართლებრივი შედარებითი ანალიზის დადებითი მხარეები.

შემდეგი ქვეთავი ეკუთვნის უარყოფით მხარეებს, აქ საუბარია იმ რისკებზე რაც შესაძლოა მოჰყვეს ნარკოტიკული ნივთიერებებთან ურთიერთობას, მისი როგორც ზედოზირების შემთხვევაში ასევე გრძელვადიანი მოხმარების დროს.

ამასთან ერთად რამდნეიმე ქვეყნის მაგალითია მოყვანილი ესენია: ჩინეთი, ირანი და საუდის არაბეთი. ქვეყნები სადაც სიკვდილით სჯიან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემთხვევაში, ეს კონკრეტული ქმედება სახელმწიფოს მხრიდან სრულიად დაუშვებელია, რაც საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევას წარმოადგენს.

გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ მსოფლიოში 250 მილიონი ადამიანია ნარკომომხმარებელი რაც სამწუხაროდ ძალიან ცუდ სტატისტიკას ასახავს. ვინაიდან ყოველი ნარკომომხმარებელი პოტენციურად სხვა სახის დანაშაულობის ჩადენის საფრთხეს წარმოადგენს რაც კრიმინალის რისკს უფრო მეტად ზდის. განვმეორდები, რომ ნარკოტიკებთან ბრძოლის არაერთი ხერხი არსებობს, მათი უმრავლესობა კი ძადალობრივი მეთოდისაკენ არის მიმართული რასაც სასურველი შედეგი მაინც არ მოაქვს.

დასკვნა

ნარკოტიკულ დანაშალს, შორეული წარსულიდან ვხვდებით, ეს ყოველივე საზოგადოების სენია, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო მეტად მრავლდება და საზოგადოების უსაფრთხოებას დიდ პრობლემას უქმნის. როგორც სახელმწიფოს ასევე, საზოგადოების მთავარი ამოცანა არ უნდა იყოს ნარკოტიკების გავრცელების პროგრესი, არამედ ასეთი სახის დანაშაულობის პრევენციის მოხდენა.

ნაშრომში ნათლად ჩანს ნარკოპოლიტიკური ვითარება, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითებზე, თუ რა სახის პრაქტიკამ რა შედეგამდე მიიყვანა ისინი. მივესალმები იმ კონკრეტულ საკითხს მძიმე ნარკოტიკებთან დაკავშირებით რასაც ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა აღკვეთს, ვინაიდან ეს ნივთიერებები სასიცოცხლოდ რისკის შემცველია თითოეული მომხმარებლისათვის. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა გაცილებით პროგრესირებადია, ვიდრე ნარკოტიკულ ნივთიერების მოხმარებაზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე სახელმწიფო უნდა შეეცადოს, რომ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან სამომავლოდ სავალალო შედეგი არ დადგეს.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკით აღსანიშნავია მათი მდგომარეობა, რომლებმაც აირჩიეს დეკრიმინალიზაცია ან ლეგალიზაცია, ასეთი ქვეყნებია (პორტუგალია, ნიდერლანდები, აშშ) და მრავალი სხვა. მათ მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სხვადასხვა სფეროში დადებითად იმოქმედა ამ გადაწყვეტილებამ:

ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყნებს მოუტანა ძალიან დიდი შემოსავალი, გაიხსნა კოფი შოპები სადაც ხელმისაწვდომია მარიხუანის მოხამრება. ნაშრომში მოხსენიებულია ის კონკრეტული რაოდენობა თუ რამდენად გაიზადა შემოსავალი ამა თუ იმ ქვეყანაში მხოლოდ ლეგალიზაციის შემდგომ პერიოდში, ასევე რა გავლენა მოახდინა მან ტურისტულ ზონებზე. აშშ-ში სადაც ლეგალიზებული არ არის ეს ნარკოტიკული მცენარე, იუწყებიან, რომ ახლო მომავალში მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდება მარიხუანის ლეგალიზაცია.

მოგეხსენებათ, ნაშრომში აღნიშნულია ასევე, სამედიცინო კუთხით არსებული მდგომარეობა საქზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც მარიხუანას სამკურნალოდ იყენებენ. შეგახსნებთ, რომ სამკურნალოდ გამოიყენებოდა მარიხუანა ძველად, ძირითადად მას ტკივილგამაყუჩებლად იყენებდნენ. ახლა კი როდესაც სამედიცინო სფერო მეტად განვითარებულია, მკვლევარებმა მიაგნეს კანაფის (მარიხუანას) იმ დადებით შენაერთებს,

რომლებიც არის ტეტრაჰიდროკანაბინოლი, რასაც ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობა აქვს და კანაბიდიოლები რომლებსაც არ აქვს ეს შემცველბა. ეს ორი კომპონენტი უდიდეს როლს ასრულებს მედიცინის სფეროში.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით, სტატისტიკამ აჩვენა, რომ ლიბერალიზაციის შემდგომ საგრძნობლად იკლო ნარკო მომხმარებელთა რიცხვმა. ეს განაპირობა იმან, რომ როდესაც მსუბუქი ნარკოტიკი მარიხუანა ხელმისაწვდომი გახდა, რის გამოც მომხმარებლებს არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, გარკვეულმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ მძიმე ნარკოტიკის მიღებისაგან თავი შეიკავოს და მოიხმაროს ის ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც არსებითად პრობლემას არ შეუქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე კანაფი (მარიხუანა) ლეგალიზებულია სხვადასხვა ქვეყნებში, მოქმედებს რიგი შეზღუდვები, რამაც განაპირობა ახალგაზრდებსა და მოზარდებში მოხმარების შემცირება, ვინაიდან მათ აღარ მიუწვდებათ ხელი ნარკორეალიზატორებთან. ახლა მათ უწევთ ოფიციალურად ლიცენზირებულ კოფი შოპებში მისვლა და მარიხუანის შეძენა სადაც გარკვეული ასაკობრივი ზღვარია დაწესებული. ასეთი დაწესებულებებისაგან კანონდარღვევის შემთხვევაში მათ ჩამოერთმევათ ლიცენზია და ვეღარ განაგრძობენ ფუნქციონირებას, რაც მათ კეთილსინდისიერი შრომის გარანტიას ქმნის.

საქართველოში არსებული მდგომარეობა გარკვეულ საკითხში ლიბერალურია, მხედველობაში მაქვს მხოლოდ მსუბუქი ნარკოტიკი კანაფი (მარიხუანა), ამას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რამაც ხელი შეუწყო სანქციების შემსუბუქებას და ამ მცენარის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას.

ჩემი პირადი სუბიექტური აზრით, არ ვემხრობი არანაირ შემამსუბუქებელ სანქციას, რადგან შესწავლილი და გაცნობიერებული მაქვს ის უარყოფითი მხარეები რასაც იწვევს, როგორც მძიმე ასევე, მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებები, მაგრამ მიუხედავად ამისა ობიექტური თვალსაზრისით სანქციებს შორის კოლიზია ვლინდება რაც აღმოფხვრილი უნდა იქნას კანონის შესაბამისად.

მიუხედავად დეკრიმინალიზაციისა, რაც საშუალებას იძლევა კანონით დადგენილი ოდენობით მარიხუანის შენახვის და მოხმარების შესაძლებლობას, მაინც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი რიგ შეზღუდვებს აწესებს. არსებული სანქციების უმეტესობას ვემხრობი, მაგრამ როდესაც თითოეულ მათგანს ჩავუღმავდებით ვხვდებით ნორმებს შორის

არსებულ კოლიზიას. რაც გამოიხატება შემდგომში: როდესაც პირს ეძლევა უფლება, რომ მოიხმაროს კანაფი (მარიხუანა), მაგრამ მას არ აქვს უფლება, რომ კანონით დაშვებული ოდენობა თან ჰქონდეს და ისე გადაადგილდებოდეს, ასევე შეიძინოს ის, დათესოს ან მოიყვანოს, ყოველივე ეს წინააღმდეგობაში მოდის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან. შემსუბუქებული სანქციებზე დაყრდნობით, რაც განპირობებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ამის შემდგომ წინააღმდეგობაში მოდის ყოველივე ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან, მაშინ როდესაც პირს ეკისრება ფულადი ჯარიმა იმის გამო, რაც კონსტიტუციურად დასაშვებია.

იმისათვის, რომ ეს ნორმები იყოს ერთმანეთთან არა წინააღმდეგობაში, არამედ შესაბამისობაში უნდა მოხდეს კანონში ცვლილება ადმინისტრაციული სამართლის კუთხით. ჩემი აზრით უშუალოდ ამ კოლიზიას აღმოფხვრავს სანქციების შეცვლა რაც გულისხმობს შემდეგს: მოხსნილი იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ის კონკრეტული სანქცია, რომელიც ითვალისწინებს ფულად ჯარიმას ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის კანაფის (მარიხუანას) კანონით დაშვებული ოდენობის თან ქონის და გადაადგილების შემთხვევაში.

ამასთან ერთად ძალადაკარგულად იქნას ცნობილი ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ასევე ფულად ჯარიმას, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის კანაფის (მარიხუანას) დათესვის, მოყვანისა და კულტივირებისათვის, რა თქმა უნდა კანონით დადგენილ ოდენობის შესაბამისად. რაც ასევე კონსტიტუციურად დასაშვებია.

ეს კონკრეტული ცვლილებები იმიტომ უნდა იქნეს შეტანილი კანონში, რომ რეალურად პირს მაინც უწევს უკანონო მეთოდის გამოყენება. იმისათვის, რომ თუნდაც პირადი მოხმარებისათვის ჰქონდეს წვდომა კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე მას ან სხვა პირს მაინც უწევს კანონის გვერდის ავლით მოქმედება, ამ მოქმედებაში იგულისხმება კანონით დაშვებული ოდენობის კანაფის დათესვა, მოყვანა და კულტივირება.

ჩემს მიერ მოხსენიებულ ცვლილებებთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა აზრი შესაძლოა გაჩნდეს, იმასთან დაკავშირებით, რომ თუ პირს ექნება ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის კანაფის (მარიხუანას) გადატანის შესაძლებლობა, ეს გაზრდის მოხმარების რისკებს ისეთ ადგილებში სადაც არ არის მიზანშეწონილი და არის კანონით შეზღუდული. მაგრამ ამის აღმოსაფხვრელად შესაძლებელია მოხდეს უშუალო კონტროლი, გამკაცრდეს ის

სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის კანაფის (მარიხუანას) მოხმარებას.

შეზღუდული უნდა იყოს მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ, საზოგადოების თავშეყრის ადგილას ყოფნა, ასევე სკოლებთან, ბაღებთან, უნივერსიტეტების კუთვნილ ტერიტორიულ არეალში, ამასთან ერთად უნდა გამკაცრდეს სანქციები იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, როგორიც არის, სასწავლო დაწესებულებებში მარიხუანას მოხმარება, ეს უნდა იწვევდეს პირის გარიცხვას, ასევე საჯარო დაწესებულებებში, სამსახურებში რაც მათ შეუქმნის ისეთ პრობლემებს, რომლის გამოც პირი შეგნებულად არ მოიხმარს მარიხუანას. ამასთან ერთად ასკობრივი შეზღუდვა და სხვა.

ყოველივე ამასთან ერთად, აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების ჩატარება, რაც გულისხმობს შემდეგს: სკოლებში მოსწავლეებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შედეგად გამოწვეულ დაავადებებთან დაკავშირებით, რათა მათ არ გაუჩნდეთ სურვილი მისი მოხმარების, ასევე უნივერსიტეტებში უნდა ჩატარდეს საჯარო ლექციები, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება, როგორც იურისტებთან გასაუბრების, ასევე ექსპერტებთან რომლებიც ამომწურავად გასცემენ პასუხს იმ საკითხებთან დაკავშირებით რასაც სტუნდენტების ინტერესები მოიცავს.

ბოლოს კი მინდა აღვნიშნო და დავაფიქსირო ჩემი სუბიექტური აზრი, რომ თითოეული შემამსუბუქებელი სანქცია ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ, დიდ რისკს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის, ვფიქრობ რომ ამ კულტურის მისაღებად არ არის მზად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე და ყოველი პროგრესული ნაბიჯი იქნება საწყისი ნარკოეპიდემიის.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. გაბიანი ა., ,,ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი მობინადრეები ანუ ნარკომანია და ნარკომანები'' თბ., 2011;
2. გოცაძე ნ., ,,კანაფი ქართული ეთნოგრაფიული ყოფისსაკულტო და ტრადიციული სანელებელი მცენარე'' 2018;
3. თუთბერიძე ქ., ,,ყველაზე ლიბერალური ნარკოპოლიტიკის 10 ქვეყანა'' 2018;
4. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II'', თბ., 2017;
5. მოსულიშვილი ა., ,,ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები''. თბ., 2009;
6. სანაია დ., ,, მასშტაბურმა კვლევებმა მარიხუანას სამედიცინო სარგებლობა დაადასტურა'' 2017;
7. საღირაშვილი შ., ,,საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი''
8. ქვარცხავა მ., ,,მარიხუანის ლეგალიზაციის შემდეგ, მოზარდი მწეველების რაოდენობამ იკო'' 2019;
9. ჯანაშია ჯ., ''XXI საუკუნის გამოწვევა'' , თბ., 2002;
10. ჯანაშია ჯ., ,,ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან ბრძოლის სამართლებრივ-სოციალური ასპექტები და პერსპექტივები''. თბ., 2008;

ქართული სამეცნიერო ნაშრომები:

1. საქართველოს პროკურატურა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ნარკოტიკული საშუალების მოხამრების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან. 2017;
2. ,,სამაგალითო დასჯა'' საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები.
3. კანაფის დეკრიმინალიზაცია: აშშ-ში ბოლო პოლიტიკის ცვლილებების შესწავლა.
4. ,,ლეგალიზაციისან ერთი წლის შემდეგ აშშ-ს კოლორადოს შტატის წარმატება'' 2015;
5. ,,ნარკოპოლიტიკა საქართველოში'' მისი დადებითი და ურყოფითი მხარეები. 2016წ.

6. ჟურნალი ავერსი №166 ,,მარიხუანა მედიცინის თვალთახედვით''
7. ,,მარიხუანის ლეგალიზაციის დადებითი და უარყოფითმხარეები აშშ-ში''
8. ,,ლეგალიზაციის შემდეგ კოლორადოში მარიხუანა 2-ჯერ გაძვირდა'' 2014წ.

უცხოური სამეცნიერო ნაშრომები:

1. ,,Декриминализация наркотиков в Португалии'' Г.Гринвольд
2. ,,What are the dangers fromusing drugs?'' Harry Shapiro. 2017
3. ,,Death penalty for drug offences: Global overwiev'' 2020.

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, №1/4/592, ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ
2. 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება, №1/91701/722/725, საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანაძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ
3. 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, №1/13/732, საქართელოს მოქალაქეგივი შანიძე საქართელოს პარლამენტის წინააღმდეგ
4. 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282, საქართელოს მოქალაქეები ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგმ.

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, (კონსოლიდირებული ვერსია)
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, (კონსოლიდირებული ვერსია)
3. საქართველოს კანონი, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ. (კონსოლიდირებული ვერსია)

ვებ.გვერდები:

1. https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/დეზომორფინი/

2. https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/heroine-ჰეროინი/
3. https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/cocaine-კოკაინი/
4. https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/ecstasy-mdma-ესქტაზი-მდმა/
5. https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/ელესდე/
6. https://altgeorgia.ge/ka/drug-info/items/კანაფი/